მუშათა მეფეობენ ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 246 (10022) | შაბათი, 16 ოქტომბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
ვ. მილოსლავსკი. — გმირ ქალაქში (1-ლი გვერდი).
სანიმუშოდ მოვემზადოთ პირუტყვის გამოზამთრებისათვის. — ზამთარი მოდის, მზად არ არიან. უდარდელობა პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადებაში (მე-2 გვერდი).
საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება (მე-2 გვერდი).
ს. ამაშუკელი. — შრომის ნაყოფიერების გაძლიერება საერთო აღმავლობის საწინდარია (მე-2 გვერდი).
ხუტა ბერულავა. — საქართველოს [illegible] (მე-3 გვერდი).
ერთი ოჯახის გაყოფა-შეერთება [illegible]
ალ. ლეონტიევი. — ამერიკის შეერთებული შტატები ემუქრებიან მშვიდობას აზიაში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ყოველდღიურად ვიმუშაოთ პროპაგანდისტებთან

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წელი გვიჩვენებს, რომ გაიზარდა კომუნისტების, ყველა ჩვენი მუშაკის ინტერესი პოლიტიკური ცოდნისადმი, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისადმი. ეს ბევრი მხრივ შედეგია პარტიული ორგანიზაციების მომზადებისა სასწავლო წლისათვის, პარტიულ პროპაგანდაში მთელ რიგ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა. თეორიის შესწავლაში დოგმატიზმისა და მედავითნეობის წინააღმდეგ, პოლიტიკურ განათლებაში ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევის წინააღმდეგ გადამჭრელმა ბრძოლამ შესაძლებელი გახადა, რომ პარტიული პროპაგანდა ცხოვრებისათვის ფაფუკდეს. რომ იგი კიდევ უფრო ქმედითი გაგვეხადა.

ახლა პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ ყოველდღიურად და კონკრეტულად უნდა მძლავრდეს პარტიულ განათლებას, უზრუნველყონ სემინარებში, მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებში, წრეებსა და პოლიტსკოლებში მეცადინეობის მაღალი იდეურ-თეორიული დონე, გააუმჯობესონ ლექციებისა და კონსულტაციების ხარისხი. პარტიულმა პროპაგანდამ უნდა გააშუქოს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლები, აამაღლოს კომუნისტების, მთელი ჩვენი კადრების შეგნება, ჩაუნერგოს მათ იდეური სიმტკიცე და პრინციპულობა, იმის სული, რომ რევოლუციური თეორიით იხელმძღვანელონ თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში. პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ, რომ ისინი სწავლობდნენ პარტიული პროპაგანდის არსს, მის იდეურ შინაარსს, განუხრელად ამაღლებდნენ პროპაგანდისტული მუშაობის დონეს.

ამ ამოცანის პრაქტიკული გადაწყვეტა უმთავრესად დამოკიდებულია პროპაგანდისტთა კადრებზე, მათს თეორიულ მომზადებასა და პროპაგანდისტულ ოსტატობაზე. ჩვენს დროში ნამდვილი პროპაგანდისტობა იმას ნიშნავს, რომ გვქონდეს ღრმა ცოდნა, შეგვეძლოს პარტიის თეორიისა და პოლიტიკის საკითხები დავუკავშიროთ საბრძოლო პრაქტიკულ მუშაობას პარტიისა და მთავრობის იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

ცნობილია, რომ პროპაგანდისტული მუშაობისათვის შერჩეულ უნდა იქნას ყველაზე მომზადებული და გამოცდილი ამხანაგები. უნდა აღინიშნოს, რომ მომდინარე სასწავლო წელს პარტიული ორგანიზაციები უფრო ყურადღებით მოეკიდნენ პროპაგანდისტთა შერჩევას. წრეების რაოდენობის შემცირებამ იმის შესაძლებლობა შექმნა, რომ გაგვეუმჯობესებინა პროპაგანდისტთა კადრების შემადგენლობა. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, სვერდლოვსკსა და ბევრ სხვა ქალაქში პროპაგანდისტთა დიდ უმრავლესობას აქვს უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი და საშუალო განათლება და პროპაგანდისტული მუშაობის საკმარო გამოცდილება. სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა რესპუბლიკასა და ოლქში მოეწყო პროპაგანდისტთა კურსები, რომლებმაც არსებითი დახმარება გაუწიეს მათ თეორიულ და მეთოდურ მომზადებაში.

მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ ისიც, რომ ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული პროპაგანდისტებთან მუშაობა. ავიღოთ, მაგალითად, ყარაგანდის ოლქი. გასულ სასწავლო წელს აქ დაიშალა ბევრი უმაღლესი ტიპის წრე, რომელთა შექმნის დროს მხედველობაში არ მიუღიათ კომუნისტების სურვილი, მათი მომზადების დონე. თითქოს ამ წრეების ხელმძღვანელები, რომელთა უმრავლესობას სჯერო მომზადება აქვს. პროპაგანდისტულ სამუშაოზე უნდა დაეტოვებინათ. მაგრამ ეს არ უქნიათ. ამის შედეგად ყარაგანდის ოლქში მიმდინარე სასწავლო წლის დამდეგს მნიშვნელოვნად შემცირდა უმაღლესი განათლების მქონე პროპაგანდისტების რიცხვი.

პროპაგანდისტთა კადრების შერჩევაში ხერხეზული ნაკლოვანებანი აქვს ლიტვის ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციას. პარტიის ქალაქ ვილნიუსის სტალინის რაიკომმა ნაჩქარევად შეარჩია პროპაგანდისტები. მათ შორის აღმოჩნდნენ ამხანაგები, რომლებსაც საკმაო თეორიული მომზადება და გამოცდილება არა აქვთ. რაიონში ბევრია უმაღლესი განათლების მქონე კომუნისტი, რომლებსაც შეუძლიათ უხელმძღვანელონ წრეებსა და პოლიტსკოლებს, იყვნენ ლექტორები და კონსულტანტები. მაგრამ რაიკომმა რატომღაც არ ჩაჯბა ისინი პროპაგანდისტულ მუშაობაში. პროპაგანდისტთა სემინარებზე რაიკომის მდივნები არ აკეთებენ მოხსენებებს ორგანიზაციების წინაშე მდგომი ამოცანების შესახებ. ასეთ ფაქტებს ქალაქ ვილნიუსის სხვა რაიონებშიც ვხვდებით.

სწრაფად უნდა გამოსწორდეს შეცდომები, რომლებიც ცალკეულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პროპაგანდისტთა შერჩევაში დაუშვეს. თვითეულ წრეს, თვითეულ პოლიტსკოლას სათავეში უნდა ედგეს საჭირო ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი კომუნისტი. სერიოზული ზრუნვა უნდა გამოვიჩინოთ აგრეთვე ლექტორთა კადრების შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება ავამაღლოთ ლექციური პროპაგანდის დონე.

ყოველდღიური მუშაობა პროპაგანდისტებთან, მათთვის თეორიული და მეთოდური დახმარების გაწევა პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. მტკიცე პრინციპული და უნარიანი პროპაგანდისტი რომ გავხდეთ, „საჭიროა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ბევრი ისწავლო და გამოცდილება შეიძინო... ასეთი ადამიანები უნდა დავასპეციალოთ, მთლიანად ჩავაბათ საქმეში და უაღრესად გავუფრთხილდეთ". უნდა გვახსოვდეს ლენინის ეს მითითება და საქმე ისე ავაწყოთ, რომ თვითეული პროპაგანდისტი გრძნობდეს ყოველდღიურ კონტროლსა და კონკრეტულ დახმარებას, ადგილობრივი პარტიული ორგანოებისა და პირველადი პარტორგანიზაციების გულისხმიერ მოპყრობას.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა სწორად მოვაწყოთ პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც სემინარები კარგად მუშაობენ, პოლიტიკური სწავლება უფრო შინაარსიანად და უფრო მაღალ იდეურ დონეზე მიმდინარეობს. ბევრ სემინარს ახასიათებს ის ნაკლი, რომ პროპაგანდისტებს სათანადო დახმარებას არ უწევს სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალური საკითხების შესწავლაში, ხელს არ უწყობს პროპაგანდისტთა მეთოდური ოსტატობის ამაღლებას.

უკანასკნელ დრომდე სემინარების მუშაობის უმთავრესი ფორმა ლექციები იყო, ამასთან ლექციები წლითიწლობით ერთსა და იმავე თემებზე იკითხებოდა. აშვიათად იმართებოდა გასაუბრება უმნიშვნელოვანეს თეორიულ პრობლემებზე, აგრეთვე პროპაგანდისტული მუშაობის მეთოდიკისა და პრაქტიკის საკითხებზე. არც ის შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ, რომ სემინარების მუშაობა ფიფრენცირებული არ არის პროპაგანდისტების მომზადების დონისა და მათი გამოცდილების მიხედვით.

პროპაგანდისტთა სემინარმა პროპაგანდისტები უნდა გაამდიდროს ცოდნით, აღჭურვოს იმის უნარით, რომ მეცადინეობა მოაწყონ ცოცხლად, საინტერესოდ, მიმზიდველად, მჭიდროდ დაუკავშირონ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას. სემინარების გეგმები, აგრეთვე წრეებისა და სკოლების მუშაობის გეგმები უნდა მივიღოთ სანიმუშო გეგმებად, რომლებიც უნდა შეიცვალოს მსმენელებისა და პროპაგანდისტების სურვილის მიხედვით.

სემინარებზე უნდა გაჩაღდეს ცხოველი ამხანაგური დისკუსიები, მოეწყოს აზრთა შემოქმედებითი გაცვლა ყველაზე მნიშვნელოვანი თეორიული და მეთოდური საკითხების შესახებ. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები მოვალენი არიან სისტემატურად გააცნონ პროპაგანდისტებს პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანები, რომლებიც დგას ჩვენი ქვეყნის, ქალაქის, რაიონის წინაშე.

ნორმალურად ვერ მივიჩნევთ იმას, რომ ივანოვოს ოლქის მთელ რიგ რაიონებში პარტიული კომიტეტები საჭირო დახმარებას არ უწევენ პროპაგანდისტებს. პარტიის სერედის რაიკომს დღემდე არ მოეწყვია პროპაგანდისტთა სემინარი. არც ერთი მეცადინეობა. იურიევეცის რაიკომმა პროპაგანდისტთა სემინარი მხოლოდ წრეებში მეცადინეობის დაწყების წინადღეს მოაწყო.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ზოგიერთ წრეში პირველმა მეცადინეობამ არაორგანიზებულად და დაბალ იდეურ დონეზე ჩაიარა.

სერიოზული გაუმჯობესება ესაჭიროება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ჩერკასკის საქალაქო კომიტეტთან არსებული პროპაგანდისტთა სემინარის მუშაობას. სემინარმა, რომელიც მოეწყო პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის დაწყების წინ, ვერ დაკმაყოფილა პროპაგანდისტები: ზოგიერთი ლექცია გააკეთა ინჟინერებ, ზოგიერთი კი ამის გამო ბევრად შეამცირეს, შეკვეცეს.

საქმის ინტერესი მოითხოვს, რომ მოწესრიგდეს პროპაგანდისტთა სემინარების არა მარტო რეგულარული მოწყობა, არამედ სისტემატური კონტროლიც სემინარების მეცადინეობის იდეური შინაარსისადმი. პარტიული კომიტეტების მუშაკები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები მოვალენი არიან მუდამ დაინტერესებული იყვნენ პროპაგანდისტთა მუშაობით, ადგილობრივ უწევდნენ მათ პრაქტიკულ დახმარებას სკოლების, წრეების მუშაობის გაუმჯობესებაში და სხვ.

პროპაგანდისტული მუშაობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის პრესას. გაზეთები და ჟურნალები სისტემატურად უნდა აქვეყნებდნენ პროპაგანდისტულ სტატიებს, მასალებს პროპაგანდისტების, ლექტორებისა და მომხსენებლების დასახმარებლად. ამასთან მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს გამოქვეყნებული სტატიებისა და მასალების ხარისხს, იდეურ დონეს. ჩვენი პრესის მოვალეობაა ღრმად, საქმის ცოდნით გააშუქოს პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკა.

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა მძლავრი იარაღია პარტიის ბრძოლაში ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის. პროპაგანდისტთა კადრებთან მუშაობის გაუმჯობესებით პარტიული ორგანიზაციები მიაღწევენ პარტიული განათლების იდეურ-პოლიტიკური დონის შემდგომ ამაღლებას.

„პრავდის" 15-X მოწინავე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ინგლისის პარლამენტის წევრთა დელეგაცია

14 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ინგლისის პარლამენტის წევრთა დელეგაცია ლორდ კოულრეინის მეთაურობით.

კ. ე. ვოროშილოვი მიესალმა ინგლისის პარლამენტის წევრთა დელეგაციას, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

საპასუხო სიტყვაში ლორდმა კოულრეინმა მადლობა გადიხადა დელეგაციის გულთბილი მიღებისათვის და რწმენა გამოთქვა, რომ ინგლისის პარლამენტის დელეგაციის ყოფნა სსრ კავშირში ხელს შეუწყობს ინგლისისა და საბჭოთა ხალხების ურთიერთგაგების ზრდასა და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

საუბრის შემდეგ, რომელიც გულთბილ ვითარებაში მიმდინარეობდა და დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა, კ. ე. ვოროშილოვმა დელეგაციის წევრებს უსურვა საუკეთესო წარმატებები მათს საქმიანობაში, რომლის მიზანია მშვიდობის განმტკიცება.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი.

მიღებას აგრეთვე დაესწრო დიდ ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ. ჰეიტერი. (საკდესი).

ჩვენს დიად სამშობლოში

★

70 ათასი ტელევიზორი მოსკოვის ოლქში

მოსკოვის ოლქის კოლმეურნეთა სახლების, კლუბების, ქოხსამკითხველოების სახურავებზე ყოველთვიურად სულ უფრო მეტი ტელევიზორის ანტენა ჩნდება. ნოგინსკის რაიონში 82 სასოფლო დასახლებული პუნქტია. 76 პუნქტში აქვთ ტელევიზორი. მარტო წელს შვიდი თვის მანძილზე მოსკოვის ოლქში დადგმული 25 ათასზე მეტი ტელევიზორი, სულ კი ახლა 71 ათასზე მეტი ტელევიზორია.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს დედაქალაქის ოლქის სოფლების რადიოფიკაცია. ამ სოფლებში ახლა მოქმედებს 63 ათასი რადიომიმღები. ეს ხუთნახევარჯერ მეტია, ვიდრე 1945 წელს იყო. (საკდესი).

სევასტოპოლის გმირული დაცვის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

საბჭოთა კავშირის მშრომელები აღნიშნავენ სევასტოპოლის გმირული დაცვის ასი წლისთავს. ამ ისტორიული თარიღის გამო დედაქალაქის საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში იმართება მოხსენებები, საუბრები და ლექციები.

14 ოქტომბერს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი სრულიად საკავშირო საზოგადოების ცენტრალური ლექტორიუმის დიდი დარბაზი გაიავსო მოსკოვის საწარმოთა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურით. აქ გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა სევასტოპოლის გმირული დაცვის მეასე წლისთავს.

გახსნა რა საღამო, საბჭოთა კავშირის გმირმა არმიის გენერალმა ი. ე. პეტროვმა ილაპარაკა რუსი ხალხის გმირულ ბრძოლაზე უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ 1853-1856 წლების ყირიმის ომში. უკვდავი სახელი მოიხვეჭეს ჯარისკაცებმა, მატროსებმა და ოფიცრებმა ქალაქ სევასტოპოლის დაცვისათვის ბრძოლებში. მან ილაპარაკა აგრეთვე იმ გმირობაზე, რომელიც გამოიჩინეს საბჭოთა არმიისა და საბჭედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებმა სევასტოპოლის დაცვის დროს დიდი სამამულო ომის წლებში.

საღამოზე საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში (1941-1945) სევასტოპოლის დაცვის შესახებ მოგონებებით გამოვიდნენ ვიცე-ადმირალი ი. ი. აზაროვი, გენერალ-ლეიტენანტი ი. ფ. ჩუხნოვი, ვიცე-ადმირალი ვ. გ. ფადეევი, საბჭოთა კავშირის გმირი ლ. მ. პავლიჩენკო და გენერალ-მაიორი პ. ი. მუსიაკოვი.

საღამოს მონაწილეებისათვის გაიმართა კონცერტი. (საკდესი).

★ ★

ბაშკირეთის ასსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პურის დამზადების გეგმა შეასრულეს

ბაშკირეთის ასსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა. სახელმწიფოს ჩააბარეს 7,4 მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე შარშან. ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დათესეს საშემოდგომო კულტურები, გადაჭარბებით შეასრულეს დადგენილი გეგმა, ამთავრებენ საგაზაფხულო კულტურების თესლის შენახვას, სახელმწიფოსათვის კარტოფილის, მზესუმზირას და შაქრის ჭარხლის ჩაბარებას.

კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები ამთავრებენ მზრალად ხვნას და ემზადებიან პირუტყვის გამოზამთრებისათვის.

მედლები გადაეცათ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებს

13 ოქტომბერს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საზეიმო დღე იყო. გამოფენის ათასზე მეტი ექსკურსანტი და დამთვალიერებელი შეიკრიბა ადმინისტრაციულ კორპუსის სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზში. აქ მედლები და მოწმობები გადაეცა მეცხოველეების დიდ ჯგუფს, რომლებმაც მოიპოვეს 1954 წლის გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორის მოადგილემ დ. მ. ტროშინმა შესავალ სიტყვაში განაცხადა, რომ წელს გამოფენის მონაწილის უფლებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებოდა სოფლის მეურნეობის მილიონობით მშრომელი. მათ შორის 150 ათასამდე საუკეთესომ მოიპოვა ეს უფლება. გამოფენის მუშაობის მარტო ორ თვეში საკოლმეურნეო მინდვრების ამ ოსტატთა მიღწევები გაიცნო ექვს მილიონზე მეტმა კაცმა.

შემდეგ გამოფენის დირექტორმა აკადემიკოსმა ნ. ვ. ციცინმა გადასცა მედლები. გამოფენის მონაწილეთა სპეციალურ ნიშნებსა და მოწმობებს ერთ-ერთი პირველნი იღებენ კოსტროვმის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კარავაევის" მწველავები და მეხბორეები. მათ შორის არიან: ორგანის სოციალისტური შრომის გმირი, მეწველი ჯგუფის ბრიგადირი ლ. პ. ივანოვა, სოციალისტური შრომის გმირები — მწველავები ა. პ. სოლოვიოვა, ა. ი. სმირნოვა, მ. ა. როკინა და სხვები.

დამსწრენი მჭუხარე ტაშით ხვდებიან კოსტროვმის ოლქის კოლმეურნეობა „12 ოქტომბრის" მოწინავეებისათვის, სოციალისტური შრომის გმირებისათვის: სასოფლო-სამეურნეო არტელის ზოოტექნიკოს ა. მ. ლაშჩენკოსათვის, მწველავ მ. ვ. კორენევასთვის, მეცხოველე ლ. მ. გავრილოვისა და სხვებისათვის მედლების გადაცემის. ბევრ მათგანს მკერდზე აქვს ომამდელი გამოფენის მონაწილის მედალი. მაგრამ მას შემდეგ ამ კოლმეურნეობის მშრომელები შორს წავიდნენ წინ. ახლა აქ ყოველ ას ჰექტარ ნახნავზე, მდელოსა და საძოვარზე 495 ცენტნერი რძე მოდის.

საპატიო მედლებსა და მოწმობებს იღებენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლატვიის კოლმეურნეობა „სარკანნაის ოქტობრისის" მეორე მ. პ. ფრიდრიხსონი და ზაპოროჟიეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი მ. ი. სარდაკი, ალმა-ატის ოლქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებული მონადირე ს. ჯერიმბაევი, კრასნოდარის მხარის საბჭოთა მეურნეობა „ვენეცი ზარიას" მეორე ი. ტ. ნოუმენკო, რომელმაც გამოზარდა შესანიშნავი ტახი „თვითნასწავლი" — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ჩემპიონი.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა მედლები და მოწმობები 13 ოქტომბერს მიიღო 38 ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის ასამდე მეცხოველემ. გამოფენის დირექტორმა აკადემიკოსმა ციცინმა დაჯილდოებულთ მიულოცა და უსურვა შემდგომი წარმატებანი შრომაში. (საკდესი).

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში

ჩქაროსნული მეთოდებით

მოსკოვის სახეხი ჩარხების ქარხანაში ფართოდ იყენებენ ლითონის დამუშავების ჩქაროსნულ მეთოდებს. ლითონის ჭრის ჩქაროსნულ რეჟიმზე გადაყვანილია 145 ჩარხი, მნიშვნელოვნად დაჩქარებულია დეტალების ნახევრად სუფთა და სუფთა დამუშავება.

ქარხნის 200-ზე მეტი მეჩარხე საოქტომბრო შეჯიბრების დღეებში ორნახევარ ნორმას ასრულებს ცალში. წარმოების ნოვატორები მხეხავები სტეპანოვი და სედოვი, მღარველი პლეშაკოვი, მერეევოლვეი ადმირალოვი და სხვები, რომლებიც მუშაობის ჩქაროსნულ მეთოდებს იყენებენ, უკვე ამთავრებენ მეორე წლიურ ნორმას.

წლის დამდეგიდან ჩარხმშენებელთა შრომის ნაყოფიერებამ 2,6 პროცენტით გადააჭარბა გეგმით გათვალისწინებულ დავალებას.

ორი ქარხნის შემოქმედებითი თანამშრომლობა

მოსკოვის კუიბიშევის სახელობის ტრანსფორმატორის ქარხნის კოლექტივი ეჯიბრება ზაპოროჟიეს ტრანსფორმატორმშენებლებს. ორივე საწარმოს მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს აითვისონ ელექტრონექნიკური მოწყობილობის გამოშვება კუიბიშევ-მოსკოვის ელექტროგადაცემის ზეშორაკული ხაზისათვის.

ამას წინათ ზაპოროჟიეს ქარხანამ დაიწყო ამ ხაზის პირველი ზემძლავრი აგრეგატის დამზადება. მისი კონსტრუქცია შეიმუშავეს მოსკოველმა ტრანსფორმატორმშენებლებმა. მოსკოველები ამზადებენ აგრეთვე ახალი აგრეგატის რამდენიმე თეთულ დიდ საიზოლაციო დეტალს და ორ სპეციალურ ტრანსფორმატორს, რომლებიც გათვალისწინებულია ზემძლავრი აგრეგატების გამოსაცდელად.

დიდი შემოქმედებითი აღმავლობით მუშაობენ ამ დღეებში მოსკოველები იმისათვის, რომ შექმნან ახალი ვოლტდამატებითი აგრეგატის კონსტრუქცია, რომლის სიმძლავრეა 180 ათასი კილოვატ-ამპერი და რომელიც აგრეთვე გათვალისწინებულია კუიბიშევ-მოსკოვის ელექტროგადაცემის ხაზისათვის. მოსკოველებმა ვალდებულება იკისრეს ეს სამუშაო დაამთავრონ ვადამდე — ოქტომბრის 37-ე წლისთავისათვის.

ადგილობრივი მრეწველობის ნაწარმი

მოსკოვის ქარხანამ „გაზაპარატმა" დაამზადა პირველი ნიმუშები ახალი მაცივრებისა, რომლებიც იტევენ ერთნახევარჯერ მეტ პროდუქტებს, ვიდრე წინანდელი კონსტრუქციის მაცივრები.

ეს არის ერთი იმ 189 ახალ ნაწარმთაგანი, რომლებიც წელს აითვისეს მოსკოვის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა.

ქარხანა „წითელი ოქტომბრის" კოლექტივმა დაიწყო რადიომიმღებლის „მოსკვიჩ-3"-ს გამოშვება, რომელიც განკუთვნილია ფართომაუწყებელი რადიოგადამცემი სადგურების მისაღებად. ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებს უკვე გაეგზავნთ 9 ათასი ასეთი რადიომიმღები. ამავე საწარმომ აითვისა ორიგინალური რეპროდუქტორის „მერცხალის" წარმოება.

დიდი თეატრის ორკესტრი

მოსკოვის მსახიობის სახლში გაიმართა სსრ კავშირის დიდი თეატრის ორკესტრის კოლექტივის საღამო. საღამო მოეწყო იმ ორკესტრანტთა პატივსაცემად, რომლებმაც თეატრში იმუშავეს 25 წელი.

დიდი თეატრის ორკესტრი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი მუსიკალური კოლექტივია. ახლა მის შემადგენლობაში 260 მუსიკოსია. ფართოდ არიან ცნობილი რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კონსერვატორიის პროფესორი არფის დამკვრელი ვ. დულოვი, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტები ჩელოს დამკვრელი ი. ბურავსკი და ორკესტრის კონცერტმაისტერი ს. კალნინოვსკი (ვიოლინო). საერთაშორისო და სრულიად საკავშირო კონკურსების ლაურეატთა წოდება მიენიჭათ მუსიკოსებს ფ. ლუზანოვს (ჩელო), ი. სოლოდუევს (ვიოლინო), ვ. პოლეხს (ვალტორნი), ტ. დოკშიცერს (ბუკი). მთელი რიგი ორკესტრანტები ასწავლიან მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიაში და გნესინების სახელობის მუსიკალურ-პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ორკესტრის რეპერტუარში 40-ზე მეტი ოპერა და ბალეტია.

დიდი კომპოზიტორის ძეგლი

მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის შენობის წინ დაიდგმება დიდი რუსი კომპოზიტორის პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკის მონუმენტური ძეგლი.

ჩაიკოვსკის სამმეტრიანი ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც ჩამოსხმულია სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ვ. ი. მუხინას მოდელის მიხედვით, დაიდგმება ვარდისფერი გაკრიალებული გრანიტის მაღალ კვარცხლბეკზე. გენიალური კომპოზიტორი გამოსახულია სავარძელში მჯდომი შემოქმედებითი მუშაობის დროს.

ქალაქის მეურნეობის სპეციალისტთა მოამზადება

მოსკოვის საბჭოს აღმასკომმა მიიღო დადგენილება მოამზადოს მოსკოვის ქალაქის მეურნეობის სპეციალისტები. მოსკოვის საქალაქო აღმასკომის ქალაქის მშენებლობის ინჟინერთა ინსტიტუტში დღის განყოფილების პირველ კურსზე წელს მიღებულია 50 კაცით მეტი, ვიდრე 1953 წელს. უახლოეს ხუთ წელიწადში ინსტიტუტი გამოუშვებს სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სამი ათასამდე ინჟინერს, წყალმომარაგების, თბოფიკაციის, გაზიფიკაციისა და სხვა დარგების სპეციალისტებს. ახლა ინსტიტუტში სწავლობს ორი ათასზე მეტი კაცი, მათ შორის 800-მდე სწავლობს წარმოებას მოუწყვეტლივ. ესენი არიან მშენებლობათა ნოვატორები, მოსკოვის საქალაქო მეურნეობის საწარმოთა საუკეთესო ადამიანები.

გმირ ქალაქში

სევასტოპოლი! ჩვენი სამშობლოს ისტორიის ბევრი დაუვიწყარი ფურცელი დაკავშირებულია ამ ქალაქთან. თავისი არსებობის 170 წლის მანძილზე იგი ორჯერ იყო ალყაშემორტყმული, ორჯერ დაანგრიეს უცხოელმა დამპყრობლებმა. და დიდებით გარემოსილი ქალაქი ორჯერ აღსდგა ნანგრევებიდან და ფერფლიდან.

საბჭოთა ხალხი აღნიშნავს 1854-55 წლების ყირიმის ომში სევასტოპოლის გმირული დაცვის ასი წლისთავს. მამაცურად და შეუპოვრად ებრძოდნენ მაშინ მტერს რუსი მეზღვაურები და ქალაქის მოსახლეობა, რომლებმაც დაუვიწყარი ფურცელი ჩაწერეს ჩვენი სამშობლოს ისტორიულ წარსულში. კიდევ უფრო გაბრწყინდა სევასტოპოლის გმირ დამცველთა დიდება დიდი სამამულო ომის წლებში. 250 დღე და ღამე გრძელდებოდა 1941-42 წლებში ქალაქის დაცვა, რაც თავისი ვაჟკაცობითა და სიმტკიცით უმაგალითოა. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა მეომრები და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეზღვაურები გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდნენ ჰიტლერელთა ურდოებს.

ათ წელზე მეტი ხნის წინათ ქალაქი ნანგრევებს წარმოადგენდა. ქალაქის აღდგენა დაიწყო დამპყრობლების განდევნისთანავე.

ყირიმის ომის შემდეგ მეფის რუსეთს თითქმის ნახევარი საუკუნე დასჭირდა იმისათვის, რომ მაშინ დანგრეულ სევასტოპოლს კვლავ მისცემოდა წინანდელი სახე. საბჭოთა ადამიანებმა უმაგალითოდ მოკლე ვადებში აღადგინეს გმირი ქალაქი.

გაყვანილია ფართო მაგისტრალები. აშენდა ლამაზი მრავალსართულიანი სახლები.

მარტო უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე აქ საეკსპლოატაციოდ გადაეცა 300 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. ქალაქის საცხოვრებელმა ფონდმა უკვე მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელს. დამთავრებულია წყალსადენისა და კანალიზაციის აღდგენა.

ქალაქის მშრომელებსა და სამხედრო მეზღვაურებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ზავი ზღვის ფლოტის მუზეუმი. მუზეუმს აქვს მდიდარი ექსპოზიცია, რომელიც მიძღვნილია სევასტოპოლის ორი უმაგალითო დაცვისადმი — ყირიმის 1854-1855 წლების ომში და დიდ სამამულო ომში. აქ ორი ათასზე მეტი ექსპონატია.

ახლა მთავრდება 1854-1855 წლებში სევასტოპოლის დაცვის განთქმული პანორამის აღდგენის სამუშაოები. ამაზე მუშაობს საბჭოთა მხატვრების დიდი ჯგუფი სსრ კავშირის საბჭატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის, სტალინური პრემიის ლაურეატის პ. პ. სოკოლოვ-სკალიას ხელმძღვანელობით.

ქალაქში ნახსენია 40-ზე მეტი სკოლა, ამდენივე საბავშვო ბაღი და ბაგა, პიონერთა სახლი, მუსიკალური სკოლა, სამშენებლო ინსტიტუტის ფილიალი, ოთხი ტექნიკუმი, საგბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებლების ფართო ქსელი.

მშრომელებს ახლა ასზე მეტი ბიბლიოთეკა ემსახურება.

სევასტოპოლელებში პოპულარობით სარგებლობენ ლუნაჩარსკის სახელობისა და ზავი ზღვის ფლოტის დრამატული თეატრები, ზავი ზღვის ფლოტის სამღერისა და ცეკვის ანსამბლი.

ქალაქის აღორძინებული მრეწველობა გაცილებით მეტ პროდუქციას უშვებს, ვიდრე ომამდე.

შესანიშნავია სევასტოპოლის ბულვარები, პარკები და სკვერები. მარტო უკანასკნელი წლების მანძილზე აქ დარგულია

სანიმუშოდ მოვემზადოთ პირუტყვის გამოზამთრებისათვის

ზამთარი მოდის, მზად არ არიან

პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია ახალი სადგომების მშენებლობა და არსებულის შეკეთება. სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩოხატაურის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ყველაფერი რიგზე როდია. მაგალითად, შარშან სოფელ ბასილეთის, ონჭიქეთის, ზემო ერკეთის, ჩხაკოურას, სამების, გოგოლესუბნის, წიფნარის, კოხნარის, ნაკადულის კოლმეურნეობებმა პირუტყვის სადგომების მშენებლობის დავალება არ შეასრულეს. ამ კოლმეურნეობებში ეს საბუშაოები წელსაც ცუდად მიმდინარეობს. შექმნილი არ არის სამშენებლო ბრიგადები, დროულად არ იძენენ მათთვის გეგმით გათვალისწინებულ საშენ მასალებს. წელს იანვარში მიღებული ცემენტი საჯავახოს საწყობიდან დროულად არ გაზიდეს, რის შედეგად ცემენტის ნაწილი გაფუჭდა, ხოლო ერთი ნაწილი რაიკავშირმა მოსახლეობას მიჰყიდა.

ბევრი რიგი კოლმეურნეობების ხელმძღვანელები ხელიდან უშვებენ სადგომების მშენებლობის საუკეთესო სეზონს, რაც საფრთხეს უქმნის პირუტყვის გამოზამთრებას. სოფლების ტუკნარისა და იანეულის კოლმეურნეობაში ყოველგვარი პირობები არსებობდა, რომ დროულად დაემთავრებინათ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სადგომების მშენებლობა. მიუხედავად ამისა, ეს სამუშაოები ბიანურდება. ეს იმის შედეგიც არის, რომ ჩოხატაურის რაიონის აღმასკომის კოლმეურნეობებში მშენებლობის განყოფილების მუშაკები სათანადო დახმარებასა და ხელმძღვანელობას ვერ უწევენ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს.

ჩვენი რაიონი მოკლებულია რკინიგზის ტრანსპორტს, არ არსებობს არც ერთი სახის საშენ მასალათა სავაჭრო ბაზა. ამიტომ კოლმეურნეობები დამოკიდებული არიან სხვა რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სავაჭრო საწყობებზე, ეს კი ხელს უშლის საშენი ნასალების მომარაგებას. წელს ჩოხატაურის რაიონს პირუტყვის სადგომი ბინების მშენებლობისათვის ცეკავშირის მახარაძის ხე-ტყის სავაჭრო საწყობიდან გამოუყვეს 850 კუბური მეტრი მრგვალი მორები და 500 კუბური მეტრი დახერხილი ხე-ტყე. ფაქტიურად კოლმეურნეობებს არც ერთი კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა არ მიუღიათ, ასევე „საქკოლტყედამზადების“ სამტრედიის ხე-ტყის სავაჭრო საწყობიდან განაწილებით რაიონის კოლმეურნეობებს უნდა მიეღოთ 600 კუბური მეტრი მრგვალი მორები, სინამდვილეში მიღებული აქვთ მხოლოდ 60 კუბური მეტრი. ეს იმიტომ, რომ საწყობი პირველ რიგში აკმაყოფილებს იმ რაიონის მოთხოვნილებას, რომლის ტერიტორიაზეც არსებობს.

რაც შეეხება ცემენტითა და სახურავი მასალით კოლმეურნეობების მომარაგებას, აქაც არ არის დამყარებული წესრიგი. ნასალები მოდის რაიკავშირის მეშვეობით დამზადების სარწმუნებულის ხაზით, ისიც მცირე რაოდენობით. დამზადების სარწმუნებულო მასალას ნაწილობრივად აძლევს კერძო დამამზადებლებს, ხოლო ნაწილს რაიკავშირის გამგეობა თავის განკარგულებაში იტოვებს. კოლმეურნეობები კი ცარიელი რჩებიან. ყველაფერი ეს დიდად აფერხებს რაიონში პირუტყვის სადგომების მშენებლობას.

ჩვენი აზრით, საჭიროა ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობების საშენი მასალებით მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით სადგურ საჯავახოში გაიხსნას საშენ მასალათა სავაჭრო ბაზა. ეს დიდად დაგვეხმარება გამოვასწოროთ ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც სადგომების მშენებლობაში გვაქვს.

შ. ქერქაძე.

ჩოხატაურის რაისაბჭოს აღმასკომის კოლმეურნეობებში მშენებლობის განყოფილების გამგე.

უდარდელობა პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადებაში

მოახლოვდა ზამთარი — ყველაზე პასუხსაგები პერიოდი მეცხოველეობაში. უზრუნველყოთ პირუტყვი საკვების საჭირო მარაგით, მოვათავსოთ იგი თბილ, კეთილმოწყობილ სადგომებში, საუკეთესოდ მოვუაროთ მას — ასეთია პირუტყვის წარმატებით გამოზამთრების უმნიშვნელოვანესი პირობები. მაგრამ გეგეჭკორის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში შეუწყნარებელ უდარდელობას იჩენენ ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორიც სადგომების მომზადებაა.

წელს კოლმეურნეობებში გათვალისწინებულია 800 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის 9 ტიპური ნაგებობის მშენებლობა. აქედან პირველ ოქტომბრისათვის არცერთი არ იყო მზად. მშენებლობის დავალება მხოლოდ 52,5 პროცენტით არის შესრულებული. ასეთივე მდგომარეობაა სტანდარტული სახბორეებისა და საღორეების მშენებლობაში. ამ მხრივ სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს სოფელ გაჭედილის კოლმეურნეობა — „წინსვლაში“ (თავმჯდომარე ლ. წულაია). აქ 87 სული პირუტყვის სტანდარტული სადგომის აგება ჯერ კიდევ შარშან უნდა ყოფილიყო დამთავრებული, მაგრამ მშენებლობა თავიდანვე უგეგმოდ დაიწყეს, დაკმაყოფილდნენ მხოლოდ და მხოლოდ შენობის საძირკვლის ჩაყრით. სოფელ აბედათის კოლმეურნეობაში მეორე წელია ჭიანურდება მეცხოველეობის ფერმის მშენებლობა. ბევრად უკეთესი მდგომარეობა ამ მხრივ არც ჭოლევის გეგეჭკორის სახელობის და დიდი ჭყონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობებშია.

განსაკუთრებით ჩამორჩება რაიონში სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა. ამის გამო წვნიანი საკვების საკმაო ოდენობით დამზადების გეგმების შესრულება აშკარა ჩაშლის საფრთხის წინაშეა. გეგმით კოლმეურნეობებში ასაგებია 900 ტონა ტევადობის 12 სასილოსე კოშკი. აქედან აგებულია მხოლოდ 7 კოშკი 525 ტონა ტევადობისა. დრო არ იცდის, დასილოსების ვადები უკვე იწურება. ამას კი ბევრი კოლმეურნეობა, მათ შორის სოფელ მუხურჩის ხრუშჩოვის სახელობის, გურძეშის ოუსთაველის სახელობის, სოფელ ინჩხურის კოლმეურნეობებში არ ითვალისწინებენ. ეს იქიდან ჩანს, რომ თვითეულ მათგანზე დაგეგმილი 75 ტონა სასილოსე კოშკის მშენებლობა 30 პროცენტითაა შესრულებული. ამ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საზოგადოებრივი პირუტყვის წვნიანი საკვებით მომარაგებას, არ იყენებენ ყველა პირობას დასილოსების გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

არის უხარისხოდ მშენებლობის შემთხვევებიც, რაც ზოგჯერ გამოწვეულია უვარგისი საშენი მასალის გამოყენებით. ასეთი ნაგებობა მალე ფუჭდება. მაგალითად, შარშან სოფელ გაჭედილის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ სახბორეს ასაგებად გამოიყენა ცუდი ხარისხის აგური და 36 ათასი მანეთი იზარალა. ასეთი ფაქტები იშვიათი როდია.

სადგომების მშენებლობაში ნაკლოვანებანი იმითაც აიხსნება, რომ ცეკავშირი და სხვა ორგანიზაციები ცუდად ამარაგებენ კოლმეურნეობებს საშენი მასალებით, განსაკუთრებით ხე-ტყით და ცემენტით. მაგალითად, მეცხოველეობის ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი 1.730 კუბური მეტრი ხეტყის ნაცვლად ცეკავშირმა შემოზიდა მხოლოდ 75 კუბური მეტრი ხეტყე, ხოლო „საქსოფლტყედამზადების“ ტრესტმა საჭირო მასალების მხოლოდ მესამედი მისცა კოლმეურნეობებს. მსგავსი მდგომარეობაა სხვა საშენი მასალების მომარაგების მხრივაც.

სერიოზული ჩამორჩენა სადგომების მშენებლობაშიც იმითაც აიხსნება, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობები ზომებს არ იღებენ მშენებლობაში ადგილობრივი რესურსების გამოსაყენებლად.

თუ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ახლავე არ მიიღეს სასწრაფო ზომები სადგომების მშენებლობის გეგმის შესრულებაში ჩამორჩენის სასწრაფოდ გამოსწორებისათვის, პირუტყვის ნორმალური გამოზამთრება უზრუნველყოფილი ვერ იქნება.

ა. პატარაია,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

თბილისი. შოკოლადის ფაბრიკის კოლექტივი საოქტომბრო შრომითს ვახტზე. სურათებზე: ზემოთ—საშოკოლადო საამქროს მექანიზმებთან; ქვემოთ (მარცხნივ) — საკომფეტე კონვეიერთან დგას სტახანოველი ა. მამისაშვილი (წინა პლანზე), მარჯვნივ — ფაბრიკის მთავარი ინჟინერი შ. ზენაიშვილი და ქიმიკოსი თ. მენაბდიშვილი ამოწმებენ კომფეტების ხარისხს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ქვანახშირი 1955 წლის ანგარიშში

ტყვარჩელი. („კომუნისტის“ კორ.). ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ახიბლარის შახტის კოლექტივმა ქვანახშირის ამოღების 10 თვის გეგმა ჯერ კიდევ 28 სექტემბრისათვის გაანაღდა. წლის დასაწყისიდან ახიბლარელმა მეშახტეებმა ქვეყანას მისცეს ათეულ ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი სათბობი და შესამჩნევად შეამცირეს მისი თვითღირებულება, რის შედეგად 300 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მიიღეს.

ახიბლარელთა უმრავლესობამ წლიური გეგმა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გაანაღდა და ახლა ისინი მომავალი წლის ანგარიშში იძლევიან ქვანახშირს. მაგალითად, მეშახტეები პ. სურტაევი, ს. სუბელიანი, ი. ტუტაკი, რ. ნემსაძე, ნ. სობოლი, ი. სანგული ახლა 1955 წლის აგვისტოს ანგარიშში მუშაობენ.

კომკავშირელი ჰიდროელექტრომშენებლები

ტყიბულჰესის მშენებლობაზე დიდად გაითქვეს სახელი იმ კომკავშირელმა მშენებლებმა, რომლებიც აქ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის გაზაფხულზე თბილისელი კომკავშირელების პატრიოტული მოწოდებით ჩამოვიდნენ.

განსაკუთრებით ისახელეს თავი მ. თავართქილაძის, დ. ფილიევის და ა. ნაკაიძის კომკავშირელ მშენებელთა ბრიგადებმა. მ. თავართქილაძის ბრიგადამ სექტემბერში მისთვის დაკისრებულ სამუშაოთა გეგმა 160 პროცენტით გაანაღდა, ხოლო ამჟამად გამომუშავების ყოველდღიურ დავალებებს 180-190 პროცენტით ასრულებს. კომკავშირელ დ. ფილიევის ბრიგადას ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს ახალგაზრდულ ბრიგადებს შორის. ამიტომ მშენებლობის ხელმძღვანელები ამ ბრიგადას ყოველთვის იქ გზავნიან, სადაც „ვიწრო ადგილი“ იჩენს თავს, სადაც სირთულეა. დიდი წარმატებით ასრულებს ეს ბრიგადა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. დ. ფილიევის ბრიგადას არც კომკავშირელ ა. ნაკაიძის ბრიგადა ჩამორჩება. ნაკაიძის ბრიგადაში წამყვან მშენებლებად ითვლებიან ნ. ფუტკარაძე, ს. ნემსაძე, გ. ნაკაიძე და ს. ფუტკარაძე.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიურად ჩაებნენ აგრეთვე მშენებლობაზე ახლახან ჩამოსული ახალგაზრდები. მაღალნაყოფიერი პატრიოტული შრომით საერთო პატივისცემა დაიმსახურეს გვირაბმშენებელმა ახალგაზრდებმა ბ. ფანჩულიძემ, გ. მუბლაძემ, გ. ვერულაშვილმა და მრავალმა სხვა ახალგაზრდა ენთუზიასტმა.

დ. ჩიტაიშვილი.

ერეკლეანული მუნიციპალიტეტის ჩამორჩენილნი

ზიარეთურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ტრესტმა სასაქონლო მადნის გამოშვების ცხრა თვის დავალება შეასრულა 102,4 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა — 102,6 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გადიდებულია 2,3 პროცენტით.

საოქტომბრო შეჯიბრების დღეებში კარგად მუშაობს ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. ლენინელებმა სასაქონლო მადნის გამოშვების ცხრა თვის გეგმა შეასრულეს 105,5 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ზრდისა — 104,8 პროცენტით, ხოლო გასულ წელთან შედარებით 6,4 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება. ცუდად როდი მუშაობენ კაგანოვიჩისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა კოლექტივები, რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს.

კვლავ ჩამორჩენილია სტალინის სახელობის მაღარო, რომელმაც ცხრა თვის დავალება მხოლოდ 94,8 პროცენტით შეასრულა და მილიონნახევარ მანეთზე მეტი გადახარჯა. ორჯონიკიძის სახელობის მაღარომ სასაქონლო მარგანეცის გამოშვების ცხრა თვის გეგმა 111,2 პროცენტით შეასრულა, მაგრამ გასულ წელთან შედარებით 2 პროცენტით შეამცირა ნაყოფიერება. შრომის ნაყოფიერების გეგმა ვერ შეასრულა აგრეთვე ვოროშილოვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა.

აღიღებენ მიკროქვაბების გამოშვებას

სტალინირის მექანიკური ქარხნის კოლექტივს წელს მნიშვნელოვანი ახალი ამოცანის შესრულება დაეკისრა — უნდა აეთვისებინა და მასობრივად გამოეშვა ე. წ. მიკროქვაბები, რომლებზეც სახალხო მეურნეობაში დიდი მოთხოვნილებაა. ქარხნის კოლექტივმა ამ ამოცანას ღირსეულად გაართვა თავი. ამჟამად ქარხანაში ასეთ ქვაბებს გეგმის გადამეტებითაც იძლევიან.

ქარხნის კოლექტივი ამ პროდუქციის გამოშვებაზე განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად მუშაობს. საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შემდეგ თავი გამოიჩინეს წარმოების ახალმა ადამიანებმა და რაციონალიზატორებმა. დაწინაურდა ამწყობ ნ. ტრუფანოვის ბრიგადა, რომელიც ყოველდღიურად 3 ნორმას ასრულებს. თვით ბრიგადირმა ნ. ტრუფანოვმა სახელი გაითქვა აგრეთვე როგორც უნარიანმა რაციონალიზატორმა. საყურადღებო გამჯობესება შეიტანეს მიკროქვაბების დამზადების ტექნოლოგიაში საზეინკლო-მექანიკური საამქროს უფროსმა გ. სპიცკიმ და ხარატმა ი. კასრაძემ.

ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს მიკროქვაბების გამოშვების წლიური გეგმა ვადამდე შეასრულოს.

ა. გულგაკოვი.

შრომის ნაყოფიერების გაღიდება საერთო აღმავლობის საწინდარია

მაუდ-კამვოლის კომბინატი, რომელსაც წინათ ფაბრიკას ვუწოდებდით, 1947 წლიდან სისტემატურად და გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. ამის მთავარი წყაროა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის მთელი კოლექტივის შეუნელებელი ბრძოლა, შინაგანი რეზერვების გამოვლინება და გამოყენება. წელს კომბინატს საწარმოო დავალება 1953 წელთან შედარებით 30 პროცენტით გაუდიდეს. ამავე დროს კომბინატის ტექნიკური აღჭურვილობა დატოვებულ იქნა იმავე დონეზე, როგორც შარშან. ეს სავსებით მართებული, მიზანშეწონილი ღონისძიება აღმოჩნდა. მაშასადამე, 1954 წლის დასაწყისიდანვე კომბინატის კოლექტივს დაეკისრა იმავე მოწყობილობით, იმავე ტექნიკით, რაც წინა წელს ჰქონდა, მოეცა თითქმის ერთი მესამედით მეტი პროდუქცია — მაუდისა და კამვოლის ქსოვილები.

მარტო ეს გარემოება კომბინატის კოლექტივს მნიშვნელოვნად ურთულებდა საქმეს, მაგრამ წლის პირველ თვეებში ამ სირთულეს კიდევ სხვა, გაუთვალისწინებელი გარემოება დაემატა: იანვარსა და თებერვალში კომბინატის საწარმოებში ხშირი მოვლენა გახდა გაცდენა ელექტროენერგიის მომარაგებაში შეფერხებების გამო.

მიუხედავად ამისა, კომბინატის კოლექტივმა შეძლო მიმდინარე წლის განვლილი თვეების საწარმოო დავალებანი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაეწაღდებინა ყველა მაჩვენებლის მიხედვით. როგორ შეძლეს მოწინავე თბილისელმა ფეიქრებმა ასეთ ვითარებაში საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულება? — უწინარეს ყოვლისა მეუნელებელი ზრუნვით შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის.

კომბინატის სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ხელმძღვანელობამ წლის დასაწყისიდანვე გაითვალისწინეს, რომ ისეთ რთულ ვითარებაში, როგორშიც კომბინატის კოლექტივი აღმოჩნდა, საჭირო იყო განსაკუთრებულ ღონისძიებათა განხორციელება შრომის ნაყოფიერების ზრდის მისაღწევად. გეგმის მიხედვით წელს კომბინატის კოლექტივს შრომის ნაყოფიერება უნდა გაეიდიდებინა შარშანდელ მაჩვენებელთან შედარებით 17 პროცენტით. მაგრამ ასეთი საგეგმო მაჩვენებლის მიღწევა აღარ იყო საკმარისი, იმის გამო, რომ პირველ თვეებში კომბინატის საწარმოებში ადგილი ჰქონდა გაცდენებს.

განვლილ 8 თვეში მუშების მიერ პროდუქციის გამოშვების საერთო დონე დიდად ამაღლდა და თვითეულმა მუშამ მოგვცა 23,8 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე წინა წლის შესაბამის თვეებში.

შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა კომბინატის საწარმოებში უზრუნველყო ქვემოთ ჩამოთვლილი პირობების შესრულებამ. ამ პირობათა აღწერაზე საჭიროდ მიგვაჩნია შეჩერება იმიტომ, რომ ამას გარკვეული მნიშვნელობა აქვს მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივის გამოცდილების გადატანისათვის რესპუბლიკის სხვა საფეიქრო საწარმოებში.

პირველი პირობა, რამაც ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების ზრდას, არის სამუშაო ადგილის მიზანშეწონილად და მოხერხებულად მოწყობა ყოველი ფეიქრისათვის. ჩვენი მუშის სამუშაო ადგილი მოწყობილია ისე, რომ მას აღარ სჭირდება დრო დახარჯოს ნედლეულის, ნახევარფაბრიკატის მოსატანად, ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების მოსამარაგებლად. მოდის ფეიქარი თავის სამუშაო ადგილზე, და ყველაფერი გამზადებული ხვდება. იგი მუშაობს ისე, რომ საშუალება აქვს არც ერთი წუთი არ დაკარგოს უნაყოფოდ. ამასთან ყოველ სამუშაო ადგილთან მიმაგრებულია ერთი დამხმარე მუშა, რომელიც ფეიქარს ეხმარება დამხმარე მასალების მიწოდებაში. დამხმარე მუშა დაინტერესებულია იმით, რომ ძირითადმა მუშამ — ფეიქარმა მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია გამოუშვას, რადგან ამაზეა დამოკიდებული მისი პირადი გამომუშავებაც. ამიტომ დამხმარე მუშა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ფეიქარი არ გაცდეს, გამოუშვას მეტი ქსოვილი და მხოლოდ პირველი ხარისხისა. ეს გარემოება ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ შემდგომ საწარმოო გადასვლებზე პროდუქციის დამუშავება გაადვილდეს, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერება გადიდდეს.

გამოცდილებამ ცხადყო, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის უზრუნველსაყოფად საფეიქრო საწარმოში დიდი მნიშვნელობა აქვს ნედლეულის ხარისხის ამაღლებას. ეს გასაგებიც არის. რაც უფრო კარგია ნედლეული, მით უფრო უადვილდება ფეიქარს მისი გადამუშავება. ეს გარემოება აღმოჩნდა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის მძლავრ სათავედ. კომბინატის ინჟინერ-ტექნიკოსებმა დიდი შრომა გასწიეს იმისათვის, რომ ფეიქრები უზრუნველყოთ მხოლოდ მაღალხარისხოვანი ნედლეულით. ნედლეულის ხარისხი ჩვენთან დამოკიდებულია შენაზავის ხარისხზე. საერთოდ საფეიქრო საწარმოში შენაზავის შედგენას სათანადო რეცეპტის მიხედვით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც ბრთველის, ისე მქსოველისა და მჩეჩავის შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. კარგი შენაზავი საშუალებას გვაძლევს გავადიდოთ მანქანა-დანადგარის ნაყოფიერება, ავამაღლოთ სართავი და საქსოვი მანქანების წარმადობა და, ბოლოს, მივიღოთ პირველხარისხოვანი ქსოვილი. კარგად შედგენილი შენაზავიდან მიღებული ძაფი იშვიათად წყდება, რაც, ცხადია, აუმჯობესებს ქსოვილის ხარისხს, საშუალებას აძლევს ფეიქარს გაუცდენლად იმუშაოს.

მესამე მთავარი პირობა, რამაც კომბინატის კოლექტივს გაუადვილა მაღალნაყოფიერი შრომა, არის მანქანა-დანადგართა გამართულობის უზრუნველყოფა. მანქანა-დანადგართა გამართულობის უზრუნველსაყოფად კომბინატში ჩამოყალიბებულია სარემონტო-მექანიკური განყოფილება, გამოყოფილია შემკეთებელთა ბრიგადები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ პერიოდულად შეაკეთონ ყველა დანადგარი წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით. დანადგართა შეკეთების განრიგის შედგენა ხდება ფეიქრების, ოსტატებისა და ქვეოსტატების მონაწილეობით. განრიგი შედგენილია ისე გულდასმით, რომ აღრიცხულია მანქანის ყოველი, ზოგჯერ თითქოს უმნიშვნელო ნაკლოვანება და დეფექტიც კი. ეს იმიტომ, რომ ძრის მოსალოდნელი ისეთი დეფექტი, რომელსაც დღეს შეფერხების გამოწვევა არ შეუძლია, ხვალ კი შეიძლება გაცდენის მიზეზი გახდეს. მანქანა-დანადგარის გამართულობის უზრუნველყოფაში სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული როგორც ფეიქრები, ისე შემკეთებელთა ბრიგადის წევრები.

საუკეთესო ნაყოფი გამოიღო მუშა-ფეიქრების მომაგრებამ გარკვეულ დანადგარებზე და გარკვეული ასორტიმენტის პროდუქციის წარმოებაზე. ფეიქარმა იცის, რომ იგი მუშაობს მისთვის ძნელობილ დანადგარზე და მოვალე არის მხოლოდ ერთი, გარკვეული ასორტიმენტის ქსოვილი გამოუშვას. იგი ეცდილობს ამ დანადგარს კარგად მოუაროს, მუდამ გამართული ჰქონდეს, ვინაიდან ამაზე დამოკიდებულია მისი გამომუშავება. ამავე დროს ფეიქარი ეჩვევა ერთისა და იმავე ხელსაწყოების კარგად მომარჯვებას, იმაღლებს ქსოვილის გამოშვების ოსტატობას, ადვილად პოულობს შრომის ნაყოფიერების გადიდების საშუალებებს და არ ცდება.

შრომის ნაყოფიერების ზრდას ხელს უწყობს მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის შეუნელებელი ზრუნვა. გარდა იმისა, რომ კომბინატში გვაქვს კადრების გადამზადების ყოველწლიური გეგმები, რასაც სისტემატურად ვანაღდებთ, ჩამოყალიბებულია ტექნიკური მინიმუმის ჯგუფები, გახსნილი გვაქვს მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებელი კურსები, შემოღებულია კვალიფიციური მუშაობის შეფობა საწარმოში ახალმოსულებზე. ყოველივე ამას გარდა საამქროებში გამოყოფილი არიან მოწინავე მუშები, რომლებსაც მინდობილი აქვთ ინჟინერ კოვალიოვის მეთოდით მასობრივად დანერგვა, ე. ი. საუკეთესოდ მომუშავე ფეიქართა გამოცდილების გადაცემა სხვებისათვის, ცალკე ოპერაციების საუკეთესოდ შემსრულებელთა ხერხებისა და ილეთების შესწავლა. შეჩვეულეთ ცალკე ოპერაციათა საუკეთესოდ შესრულების მომენტების ფოტოგრაფირება და ასეთი ფოტოსურათებით სხვა მუშები წარმატებით სწავლობენ, იმაღლებენ კვალიფიკაციას. საწარმოში ახლად მიღებულ მუშას მუშაობის ხერხებს ჯერ ასეთი ფოტოსურათებით ვასწავლით, შემდეგ მათ ვამაგრებთ გამოცდილ, მატალკვალიფიციურ ფეიქრებზე და, ამრიგად, მუდამ თვალყურს ვადევნებთ, რომ მუშა არ შეჩერდეს თავისი დაოსტატების ერთ დონეზე, არამედ მუდამ წინ მიდიოდეს, იმაღლებდეს კვალიფიკაციას.

დიდად გვიწყობს ხელს ის გარემოება, რომ ნარდად მომუშავეთა ბრიგადები კომბინატში დაკომპლექტებული არიან თანაბარი კვალიფიკაციის ნუშებით და მაღალკვალიფიციური ქვეოსტატებით. ამავე დროს შრომის ნაყოფიერების ზრდას იწვევს სამუშაოთა დანორმვის სწორი დაყენება. დანორმვის შედეგად მუშები თანაბრად არიან დაინტერესებული ყველა ასორტიმენტის ქსოვილთა გამოშვებით და არ არის განსაკუთრებული დაინტერესება რომელიმე ასორტიმენტის პროდუქციაზე მუშაობით. ეს საშუალებას გვაძლევს ასორტიმენტის გეგმის შეუსრულებლობის ან გამონუშავების ნორმების შეუსრულებლობის შემთხვევაში ადვილად გამოვავლინოთ მიზეზი და მოვახდინოთ მისი ლიკვიდაცია. გარდა ამისა, გაადვილებულია მუშახელის მანევრირება, როცა ეს საჭირო ხდება მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მისაღწევად.

მასების შეჩოქმედებითი აზრის გამოყენება, რაციონალიზატორული წინადადებების სწრაფად განხილვა და დანერგვა ის ბერკეტია, რომელიც ყოველი საწარმოს ხელმძღვანელობას უადვილებს შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის პირობების შექმნას. ავიღოთ ასეთი მაგალითი: ცნობილია, რომ მატყლში ხშირად გვხვდება ე. წ. ცცენარეული მინარევები, რაც დიდად აფერხებს მისი გადამუშავების ტექნოლოგიურ პროცესებს, ხოლო შემდგომი ოპერაციების დროს ართულებს პრონდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, აძნელებს ქსოვილის მაღალხარისხოვნად შეღებვას.

ცცენარეული მინარევებისაგან მატყლის გასაწმენდად, მაშასადამე, ნედლეულის ხარისხის ასამაღლებლად, რათა მისი გადამუშავება გაადვილდეს და მუშათა შრომის ნაყოფიერება გადიდდეს, კომბინატის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ბოჭკოს სამღებრო განყოფილებაში დადგას მატყლის საკარბონიზაციო ნანქანა, ხოლო ქსოვილის გამომყვან განყოფილებაში მოაგვაროს ქსოვილთა კარბონიზაცია. ასეთი იდეა კომბინატის ხელმძღვანელობას საწარმოს ინჟინერ-ტექნიკოსებმა მისცეს და ეს, უეჭველია, კარგ ნაყოფს გამოიღებს. შესაძლებლობა მოგვეცემა გავათავისუფლოთ ქსოვილთა მწმენდავები მეტად შრომატევადი სამუშაოსაგან, ისინი სხვა ოპერაციების შესრულებაზე გამოვიყენოთ და ნედლეულის ხარისხის ამაღლებით შევქმნათ პირობები შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის.

მაუდ-კამვოლის კომბინატი წელს ქვეყანას გეგმის გადამეტებით უკვე მისცა 10 მილიონამდე მანეთის პროდუქცია. ეს მან შეძლო შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და არსებული რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენების შედეგად. ასეთივე შესაძლებლობანი აქვთ სხვა საფეიქრო საწარმოთა კოლექტივებს. საჭიროა მხოლოდ ამ შესაძლებლობათა გამოვლინება და გამოყენება, რაც დიდად არის დამოკიდებული ხელმძღვანელთა მოფიქრებულ მუშაობაზე და კოლექტივის დარაზმულობაზე. უნდა გვახსოვდეს, რომ შრომის ნაყოფიერების ამაღლება არის არა მარტო პროდუქციის გამოშვების ზრდის საწინდარი, არამედ ყველა საწარმოო მაჩვენებლის გაუმჯობესების საწინდარიც, საერთო აღმავლობის მიღწევის მთავარი საშუალება.

ს. ამაშუკელი.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მთავარი ინჟინერი.

საქართველოს მთიან რაიონებში

ქართველ მწერალთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ალექსანდრე გომიაშვილი, დმიტრი ბენაშვილი, ოთარ ჭელიძე და ამ სტრიქონების ავტორი, სექტემბრის დილით გავიდა დედაქალაქიდან.

დავალებული გვქონდა მოგვევლო რესპუბლიკის მთიანი რაიონები — ონი, ამბროლაური, ცაგერი, ლენტეხი, გავცნობოდით საქართველოს ამ უშესანიშნავესი კუთხეების ცხოვრებას, მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობის წინ შევხვედროდით ჩვენს მკითხველებს.

გადავწყვეტეთ ჯავის გავლით გადავსულიყავით ონში, ხოლო იქიდან — ცაგერსა და ლენტეხში.

საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქ ონს ახლოს ჩავუარეთ და პირდაპირ ამბროლაურში გავემგზავრეთ: ჩვენი პირველი შეხვედრა მკითხველებთან სწორედ იქ იყო დანიშნული.

ნელნელ მიეყვებით რიონის ხეობას. ისევე ვერ გაეკცევი ამ ხეობის სილამაზეს, როგორც რაჭველი კაცის გულწრფელსა და გულუხვ მასპინძლობას! არ ვიცით, რას უფრო მივაპყრთ ყურადღება: გზის ორივე მხარეს აღმართულ მთებს თუ ირისფერ მღელვარე რიონს.

მე განსაკუთრებით მომხიბლეს აქაურმა ოდებმა. მწვანე ეზოებში სუფთად ჩაცმული ბავშვები დარბიან. ჭიშკრებიდან თვალცრემლიანი ქალიშვილები იმზირებიან!

შემოქმედებითი საღამო კულტურის სახლის საუცხოო შენობაში მოეწყო. ქართული საბჭოთა მწერლობის მრავალ საპირბოროტო საკითხს შეეხენ როგორც ჩვენი მომხსენებელი კრიტიკოსი დიმიტრი ბენაშვილი, ისე სიტყვებით გამოსულნი — ამბროლაურის პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორი ლეონიდე ტურძელაძე, სოფელ ლიხეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი ალექსანდრე ჯაფარიძე, აგრონომი ნოდარ შარაბიძე, ინტელიგენციისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სხვა წარმომადგენლები. მათს გამოსვლებში იგრძნობოდა ხალხის დიდი სიყვარული მშობლიური მწერლობისადმი. და არა მარტო სიყვარული! ღრმა, სერიოზული გაგება იმ ამოცანებისა, რომელთაც პარტია აყენებს მწერლობის წინაშე.

ამბროლაურელმა ამხანაგებმა საგანგებოდ აღნიშნეს, რომ რაჭა-ლეჩხუმის შესანიშნავი რევოლუციური წარსული და დღევანდელი საკოლმეურნეო ცხოვრება ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის ასახული მხატვრულ ლიტერატურაში.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მაღლობის გრძნობით მივიღეთ ეს მეტად საქმიანი შენიშვნები და წავიკითხეთ ჩვენი ნაწარმოებები. თანასოფელნი წინაშე საკუთარი ლექსები წაიკითხა ავრეთვე ახალგაზრდა პოეტმა აკაკი გეწაძემ.

გინახავთ მეთერთმეტე საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი — ნიკორწმინდა?

თაყვანი უნდა სცეს იმ ქართველ ოსტატებს, რომელთაც აღაშენეს და მოხატეს იგი. ნიკორწმინდა მართლაც რომ ქართველი ხალხის უკვდავი გენიის ნათელი გამოსახვებაა. გვერდს ვერ ჯუვლი მას. ჩვენც დიდი ინტერესით დავთვალიერეთ მისი ყოველი ჩუქურთმა. ტაძრიდან გამოსულთ მხურვალე შეხვედრა მოგვიწყო სოფლის ახალგაზრდობამ.

სოფელ წესკის კოლმეურნეობაში იმ დროს მივედით, როცა გლეხები პურსა ღერწავდნენ. შესვენების დროს სწორედ კალოსთან გიამბრთა ცხოველი საუბარი საბჭოთა ლიტერატურაზე.

ამბროლაურიდან არც გვინდოდა წასვლა, მაგრამ მეზობელ რაიონში — ონში უკვე გველოდნენ. სოფელ უწერაში გოგონები და ბიჭუნები გზაზე იყვნენ გამოფენილნი. მისვლა და შეხვედრის დაწყება ერთი იყო.

აი სახელგანთქმული შოვიც! დავლიეთ მისი მკაფიო წყალი. აგარაკის მუშაკებმა გაგვაცნეს შოვის აწმყო და მომავალი. ამ საუბარში ოდნავ წამოწვიმა. უცებ მთების ეკრანზე გამოჩნდა ორი უზარმაზარი ცისარტყელა. უფსკრულებს შუა გაბმულნი, ზღაპრულ ხიდებს ჰგავნდნენ ისინი!

ქალაქ ონშიც დიდი ლიტერატურული საღამო გაიმართა. ნესტორ დუშუაშვილმა, მარი გამყრელიძემ, მარგალიტა კერესელიძემ, ნახიკო თომაძემ, დანიელ ხახიაშვილმა ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რა მაღალ მოთხოვნებს უყენებენ მწერლობას საბჭოთა მკითხველები. საერთო მოწონება დაიმსახურა ახალგაზრდა მასწავლებელმა შუქურა ჯაფარიძემ, რომელმაც ჩინებულად წაიკითხა ერთი-ერთი ქართველი პოეტის ლექსი. მოსწავლეებმა — ჯუნა ორდინიძემ, თამაზ მურღულიამ, ნათელა ტოგონიძემ, ლუნა გუგუშაშვილმა დამსწრეთ გააცნეს ჩვენი შემოქმედების ნიმუშები. მერე, რასაკვირველია, ჩვენ დაგვითმეს ლსპარეზი.

არასოდეს არ დაგავიწყდება ხეების ჩრდილში მოწყობილი შეხვედრა სოფელ სორის საშუალო სკოლის მოსწავლეებთან და მათს აღმზრდელებთან...

ცაგერისაკენ მიმავალი გზა უფრო ძნელი აღმოჩნდა. თითქმის სამი საათი დავყოვნდით ზედ ცაგერის თავზე. ეს იმ დროს, როცა რაიონის ცენტრში შეხვედრა გვქონდა დანიშნული. თუმცა დავიგვიანეთ, კულტურის სახლი ხალხით იყო გაჭედილი.

მრავალი საფუძვლიანი, ჭკვიანური შენიშვნა მოვისმინეთ ცაგერელი ამხანაგებისგანაც. მათვე საღამოს მხატვრულ განყოფილებაში გვიჩვენეს თავიანთი მრავალმხრივი ნიჭი და უნარი.

საინტერესოდ ჩაიარა ლიტერატურულმა საღამომ სოფელ ლაილაშში. საშუალო სკოლის დირექტორი გივი ყურაშვილი, მასწავლებელი შოთა ჯანუაშვილი, მოსწავლეები მერი გიორგობიანი, ლიანა ჩაჩხიანი, თამარ სეფიაშვილი, ნანული ანასაშვილი, ნანული ხოჯაშვილი მოითხოვდნენ, რათა ქართული მწერლობა უფრო მეტ ყურადღებას უთმობდეს სოფლის ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის მჩქეფარე ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებების შექმნას.

ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ლაჯანურჰესის მშენებლობის დიდმა გაქანებამ...

განსაკუთრებული მღელვარებით გავემგზავრეთ ლენტეხში.

კულტურის სახლში დიდძალი ხალხი შეიკრიბა. მსურველთა დიდი ნაწილი დარბაზში ადგილების სიმცირის გამო საღამოზე ვერ მოხვდა (ლენტეხელები ღირსნი არიან კულტსახლის უფრო დიდი და კეთილმოწყობილი შენობა ჰქონდეთ).

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ივანე ხაბულანმა, მასწავლებელმა დავით პირველმა, აგრონომმა ჯოკია მეშველიანმა მოგვითხრეს მშრომელთა თვალსაჩინო წარმატებებზე კულტურისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ისინი ყოველდღიურად იბრძვიან თავიანთი შესანიშნავი კუთხის შემდგომი აღმავლობისა და წინსვლისათვის. სწორედ ამ ადამიანთა კეთილშობილური სახეების დახატვა გვთხოვეს მეგობრებმა.

მოსწავლეებმა დინარა ჯანხოთელმა (რგი წელს პირველად წავიდა სკოლაში „დედაენით" ხელში!), გელა გასვიანმა, რუსუდან ბაქრაძემ მოგვასმენინეს ჩვენივე ნაწარმოებები. მოხდენილმა სვანმა ქალიშვილმა ლამარა ბენდელიანმა ლექსის კითხვის დამთავრებისას მქუხარე ტაში მიიღო ჯილდოდ.

დიდი წარმატებით გამოვიდა რაიონის კულტსახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის გუნდი, რომელსაც ჯოკია მეშველიანი ხელმძღვანელობს.

ლენტეხის მიწაზე ლაღად გაისმოდა დიდებული „მუმლი მუხასა". მთების გუგუნს ჰგავდა ძველი სვანური სიმღერა ფერხულით — „ლაგუშდა". ახალ სვანეთს ადიდებდა ომახიანი „მახე შვან". გულში გვწვდებოდა ჭუნირზე შესრულებული „დიაშ დარჯოლ"...

ისიდორე ბენდელიანმა, ვარდენ მეშველიანმა, დინოლ ლიპარტელიანმა, ვლადიმერ მეშველიანმა, გუნდის ყველა მონაწილემ გვიჩვენეს, რაოდენ მდიდარია სოციალისტური სვანეთი ხალხის წიაღიდან გამოსული ტალანტებით.

ლენტეხელები თბილისში ოლიმპიადაზე რომ ჩამოვლენ, უსათუოდ ისახელებენ თავს და ასახელებენ მშობლიურ კუთხესაც.

ჩვენ დავთვალიერეთ საავადმყოფოს ახალი შენობა. მისი სახით ძვირფასი ნობათი მიიღეს ამ დღეებში ლენტეხის რაიონის მშრომელებმა. მხოლოდ სამედიცინო მომარაგების მხრივ არ ყოფილა ყველაფერი რიგზე. ლენტეხელი მშრომელები მხურვალედ მადლობელნი იქნებიან საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრისა და მისი მოადგილეებისა, თუ ისინი ხშირხშირად ინახულებენ მათს კუთხეს. ამასვე ვეტყოდით კურორტოლოგიის ინსტიტუტის მუშაკებსაც, რომელთა უფრო მეტი მზრუნველობა სჭირდება აგარაკ მუაშს, მის დიდებულ წყაროებს.

ლენტეხის რაიონის ერთ-ერთ შორეულ უბანს ლაშხეთს ეძახიან. ლაშხეთის ულამაზესი სოფელია ჟაბუნდერი. აქურებს მაღალი, მეტწილად ორსართულიანი ქვის სახლები უდგათ. სახლებს კი არა, ნამდვილ სასახლეებს ჰგვანან. კულტურულად ცხოვრობენ ჟაბუნდერელი კოლმეურნეები!

სკოლის ეზოში შესვლისთანავე მძლავრი სვანური სიმღერა გაისმა. კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო! — გვეუბნებოდნენ ამ სიმღერით მასპინძლები.

მკითხველთა და მწერალთა შეხვედრა აქაც უაღრესად მეგობრულ ხასიათს ატარებდა. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ვერჩე გუჯეჯიანმა, მხცოვანმა მასწავლებელმა სპირიდონ ონიანმა, ახალგაზრდა მასწავლებელმა ქალმა რეზი ფოჩიანმა, მასწავლებელმა ჯუჯუღო გელოვანმა სამართლიანად გვისაყვედურეს, ქართველი მწერლები იშვიათი სტუმრები არიან სვანეთისა, მის ადამიანებზე ცოტა იწერებიო.

მართლაც, რამდენი საამაყო ადამიანი ჰყავს ლენტეხის რაიონს, სოფელ ჟაბუნდერსაც. ი თუნდაც სვანი ქალი ვერა გუჯეჯიანი, რომელიც უკვე თითხმეტი წელიწადია სოფელს თავკაცობს. ან კიდევ ძველი ბოლშევიკი, 1918 წლიდან პარტიის წევრი ივანე ლობკანიძე, ხანდაზმულობის მიუხედავად ახლაც აქტიურად რომ მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში...

როდესაც ვეცნობოდით ლენტეხის რაიონის, ისევე როგორც ამბროლაურის, ონის, ცაგერის რაიონების მშრომელთა გმირული შრომის შედეგებს, ვხედავდით, რა მაღლიან თემებს აძლევს მწერლობას თვით ცხოვრება.

ჩვენ ბევრგან ვიყავით და ყველგან გულთბილად გვხვდებოდნენ ჩვენი ყველაზე ერთგული, საამედო მეგობრები — მკითხველები. რა თქმა უნდა, ეს არ იყო გამოწვეული რომელიმე ჩვენგანის პირადი დამსახურებით.

მხოლოდ ორი კვირა დავრჩით საქართველოს ამ სამ უშესანიშნავეს კუთხეში, მაგრამ უკვე გავაკეთეთ პირველი შემოქმედებითი „დაზვერვა". ჩვენ როგორც ვამბობდი, მოვიხიბლეთ ამ რაიონების უებრო ბუნებით, ყველაზე მეტად კი აღფრთოვანებული ვართ აქაური გამრჯე, ნიჭიერი, აღალმართული ადამიანებით.

სწორედ მათ გვინდა ვუძღვნით გულითადი მადლობა იმ დიდი მღელვარებისათვის, რაც მათთან შეხვედრამ განგვაცდევინა. შევეცდებით ეს მადლობა უპირველესყოვლისა ჩვენს შემოქმედებაში გამოვთქვათ.

ხუტა ბერულავა.

სექტემბერი, 1954 წ.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყრილობა

დაიხურა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მესამე ყრილობა. მის მუშაობამი მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის თეატრების წამყვანმა მსახიობებმა და რეჟისორებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა და მწერლებმა. საზოგადოების თავმჯდომარემ საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დრამატურგმა შ. დადიანმა თავის მოხსენებაში ილაპარაკა თეატრალური საზოგადოების საქმიანობის შესახებ. ეს საზოგადოება მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა საბჭოთა ხელოვნების მიღწევათა პროპაგანდის დარგში, ქმედითს დახმარებას უწევს პროფესიულ თეატრებსა და თვითმოქმედ მხატვრულ კოლექტივებს მათ შემოქმედებითს მუშაობაში. წელს საწარმოებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში წაკითხულია 200 ლექცია ხელოვნების საკითხებზე, მიმდინარეობს შემოქმედებითი საღამოები სცენის ოსტატთა მონაწილეობით. ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო ამერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის თეატრალურ საზოგადოებათა სამეცნიერო სესიამ. საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან მუშაობენ რეჟისორების, მხატვრებისა და ახალგაზრდა მსახიობთა სექციები.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს თეატრალური საზოგადოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. აქ უგეგმოდ მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ქართული თეატრის ისტორიის დარგში, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მოწინავე თეატრალური კოლექტივებისა და საბჭოთა სცენის ოსტატების შემოქმედებითი გამოცდილებისა და მიღწევების განზოგადებას.

ყრილობამ დასახა თეატრალური საზოგადოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ყრილობამ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩია შ. დადიანი, პასუხისმგებელ მდივნად — დ. ჩხეიძე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. ნინიძე, მდივნად — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. დარისპანაშვილი. (საქდესი).

ქასპის რაიონის სოფლების ელექტროფიკაცია

ქასპი. (საკ. კორ.). სოფელ იგოეთში შენდება 1650 კილოვატის სიმძლავრის სარაიონთაშორისო ჰიდროელექტროსადგური. გარდა ამისა, ტირიფონჰესის ხარჯზე ხდება რაიონის სოფლების ელექტროფიცირება. ამ დღეებში ტირიფონჰესის შუქი მიიღო სოფელმა ჩობალაურმა. ელექტროდენს მალე მიიღებენ სოფლები დოესი და კოდისწყარო.

ერთი ოჯახის გაყოფა შეერთების შესახებ

ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინაულის მცხოვრებ გიორგი გოგბერაშვილს ჯერ კიდევ 1928 წელს გამოეყო მისი შვილი გრიგოლ გოგბერაშვილი. 1933 წლის 6 აპრილს სასოფლო საბჭოს აღმასკომმა გამოიტანა გადაწყვეტილება გიორგი და გრიგოლ გოგბერაშვილების ცალკე კომლებად გაყოფის შესახებ. აღმასკომის გადაწყვეტილებით გრიგოლის შვილი პატარა კარლო ჩარიცხული იყო გიორგი და ტერეზი გოგბერაშვილების ოჯახის წევრად.

გოგბერაშვილების ოჯახის გაყოფის ამბავი როდინაულში თითქმის დავიწყების მიეცა. მაგრამ, 1948 წლის გაზაფხულზე სასოფლო საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს ნ. მერკვილაძეს რატომღაც აეკვიატა ამ ოჯახის გაერთიანების აზრი.

1948 წლის 14 მარტს როდინაულის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა გამოიტანა გადაწყვეტილება გრიგოლ და ტერეზი (მისი ქმარი ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო) გოგბერაშვილების ერთ კომლად შეერთების შესახებ.

გოგბერაშვილებმა სასოფლო საბჭოს არასწორი გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რაიონული საბჭოს აღმასკომს მიმართეს.

საკითხი სამინისტროს მუშაკებმა შეისწავლეს. მათ გამოარკვიეს რომ: „...ტერეზი გოგბერაშვილი, მიუხედავად მისი მოხუცებულობისა წარმოადგენს დამოუკიდებელ საკოლმეურნეო კომლს და მას უფლება აქვს შეინარჩუნოს საკარმიდამო ნაკვეთი სიკვდილამდე".

საკითხი შეისწავლა რაიონული საბჭოს აღმასკომმაც, რომლის 1949 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებაში კითხულობთ: „გაუქმდეს როდინაულის სასოფლო საბჭოს აღმასკომის 1948 წლის 14 მარტის დადგენილება ტერეზი და გრიგოლ გოგბერაშვილების ერთ კომლად შეერთების შესახებ".

თითქოს კვლავ ყველაფერი რიგზეა. მაგრამ... 1952 წლის გაზაფხულზე, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ნ. მერკვილაძეს კვლავ აეკვიატა აზრი გრიგოლ და ტერეზი გოგბერაშვილების ოჯახების შეერთების შესახებ, კვლავ გაუჩნდა ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებანი.

ამჯერად გოგბერაშვილებმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მიმართეს. განცხადება გადაეგზავნა რაისაბჭოს აღმასკომს, ხოლო მისმა თავმჯდომარემ ს. ფერაძემ დაიბეჭდა ამ საკითხზე წინათ მიღებული გადაწყვეტილება და მინისტრთა საბჭოს აცნობა, რომ „ზესტაფონის რაიონული საბჭოს აღმასკომს როდინაულის სასოფლო საბჭოს აღმასკომის 1952 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება ტერეზი ბართლომეს ასულ გოგბერაშვილისა და გრიგოლ გიორგის-ძე გოგბერაშვილის ერთ კომლად შეერთების შესახებ მიზანშეწონილად მიაჩნია".

გოგბერაშვილებმა კვლავ მიმართეს მინისტრთა საბჭოს. საკითხი ადგილზე იქნა შესწავლილი. 1953 წლის 16 დეკემბრის მიმართვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოდან რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ს. ფერაძეს სწერენ: „მოქ. ტერეზი ბართლომეს ასული გოგბერაშვილის კომლის გაუქმება არასწორია, ასევე არასწორია მისთვის საკარმიდამო ნაკვეთის ჩამორთმევა.

გევალებათ განახილოთ საკითხი, გააუქმოთ როდინაულის სასოფლო საბჭოს აღმასკომის [illegible] დაწყვეტილება [illegible] ცალკე კომლად და დუბრუნოთ მას საკარმიდამო ნაკვეთი".

ამ მიმართვის მიღების შემდეგ რაისაბჭოს აღმასკომს 1953 წლის 31 დეკემბერს გამოაქვს გადაწყვეტილება, სადაც სწერია: „ტერეზი ბართლომეს ასული გოგბერაშვილი დარჩეს ცალკე კომლად, ვინაიდან იგი ცალკე კომლად არის 1933 წლიდან და მიწებს ამზომი კომისიის მიერ 1939 წელშიც დატოვებული იყო ცალკე, როგორც სრულუფლებიანი კომლი".

ამით საქმე უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ როდინაულის სასოფლო საბჭოს ახლანდელ თავმჯდომარეს გ. ლილუაშვილს წინანდელ თავმჯდომარეზე მეტი „გულადობა" აღმოაჩნდა. მან არ შეასრულა რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება. ტერეზი და გრიგოლ გოგბერაშვილები ერთ კომლად დატოვა.

ტერეზი გოგბერაშვილმა ახლა გაზეთ „კომუნისტს" რედაქციას მიმართა. რედაქციამ ზემოთ ბმის მისაღებად განცხადება რაისაბჭოს აღმასკომს გადმოუგზავნა. აღმასკომის თავმჯდომარემ რატომღაც ამ საკითხს კვლავ შესწავლა (?) მოინდომა. განცხადება გამოსარკვევად გადასცა მიწათმომწყობ ვ. გოგიძეს, რომელმაც „შეისწავლა" რა ეს საკითხი, მოხსენებითს ბარათში დასკვნა: რადგან ტ. და გ. გოგბერაშვილები ერთ შენობაში ცხოვრობენ, მათი ერთ კომლად გაერთიანება აუცილებელიაო.

რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. ფერაძემ დაიგეგმა ამ საკითხზე სამი თვის წინათ მიღებული გადაწყვეტილება და ამა წლის 26 მარტს გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას მისწერა: „გაცნობებთ, რომ როდინაულის სასოფლო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება ტერეზი და გრიგოლ გოგბერაშვილების ერთ კომლად შეერთების შესახებ კანონიერია". სწორედ ამაზე იტყვიან „მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენა". ი, სადამდე შეიძლება მივიდეს მშრომელთა საჩივრებისადმი ასეთი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება!

როდესაც გოგბერაშვილებმა კვლავ აღძრეს საკითხი და ერთხელ კიდევ შესწავლილ იქნა მათი საჩივარი, დადასტურდა, რომ მათი ოჯახების გაერთიანების არავითარი საფუძველი არ არსებობს.

რაისაბჭოს აღმასკომსა და სასოფლო საბჭოში გოგბერაშვილების შესახებ მთელი ტომია შექმნილი. საქმე კი დაუმთავრებელია. ტერეზი გოგბერაშვილის საკარმიდამო ფართობი ხელიდან ხელში გადადის. ამჯერად ეს ფართობი კოლმეურნეობას მიაკუთვნეს. როგორც გოგბერაშვილები, ისე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. მაღლაკელიძე ვერ გარკვეულან, თუ ვის ეკუთვნის ნაკვეთი. ეს ფართობი, რომელზეც ძირითადად ვენახია გაშენებული, მოუვლელია.

მოწინავე კოლმეურნის გ. გოგბერაშვილის კანონიერი საჩივრებისადმი უსულგულო, ბიუროკრატულ დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს.

დ. ლილუაშვილი,

„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციისათვის გამოგზავნილი წერილით მასწავლებელი ს. ჭარსელაძე ამხილებდა კურორტ უწერის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. როგორც იგი გვწერდა, კურორტის კეთილმოწყობას, სურსათით დამსვენებელთა მომარაგებას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. ცომაია გვატყობინებს, რომ კურორტის კეთილმოსაწყობად სამმართველომ გარკვეული მუშაობა გასწია: ახლადაშენებულ შენობაში გაიხსნა პანსიონატი 30 საწოლით, გაყვანილია ახალი წყალსადენი, მოეწყო ელექტროგანათება და კანალიზაცია, გაკეთდა მინერალურ წყაროსთან მისასვლელი ხიდი.

1955 წლისათვის გათვალისწინებულია კურორტის კეთილმოწყობის სამუშაოთა შემდგომი გაფართოება.

ამერიკის შეერთებული შტატები ემუქრებიან მშვიდობას აზიაში

ჟენევის თათბირის შემდეგ, რომლის გადაწყვეტილებანი მშვიდობის ძალების ძმიშვნელოვან გამარჯვებასა და ომის ძალების სერიოზულ დამარცხებას წარმოადგენენ, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა შესამჩნევად გააძლიერეს თავიანთი აგრესიული ხრიკები აზიაში. ამ ხრიკების მიზანი, როგორც ცინიკურად აღიარებს ამერიკის პრესა, ის არის, რომ „აიზონ რევანში" ჟენევაში დაწარცხებისათვის, ე. ი. კვლავ გაამწვავონ. ვიეტნამი აზიაში, ხელი შეუშალონ დაძაბულობის შენელებას მთელ მსოფლიოში.

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ ზრახვებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალი სამხედრო ბლოკის შექმნას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამ ბლოკის პროექტი დალესმა ჯერ კიდევ ჟენევის თათბირის წინ წამოაყენა. უკანასკნელი თვეების განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდნენ მიეღწიათ თავიანთი მთავარი მიზნისათვის — ჩაებათ ამ ბლოკში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები: ინდოეთი, ინდონეზია, ბირმა. ამ ცდებმა სრული კრახი განიცადა. მაგრამ ვაშინგტონში ნაინც გადაწყვეტეს ბლოკის ამერიკული პროექტის განსახილველად მოეწვიათ კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა, ავსტრალიამ, ახალ ზელანდიამ, ტაილანდმა, პაკისტანმა და ფილიპინებმა.

მანილის (ფილიპინები) კონფერენციის მონაწილეთა მიერ 8 სექტემბერს ხელწოწერილი ეგრეთწოდებული „ხელშეკრულება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თავდაცვის შესახებ" („სეატო") არსებითად წარმოადგენს აგრესიულ სამხედრო კავშირს, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას აღმოსავლეთში.

„რომ, რადაც უნდა დაჯდეს" — ასეთი სათაური აქვს გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნის" მიერ ამას წინათ გაწოდებულ სტატიას, რომელიც მიძღვნილია ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ხრიკებისადმი აზიაში. გაზეთი წერს:

„ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნის გეგმის კრახის შემდეგ დალესი „გაეშურა მსოფლიოს სხვა ნაწილში, რათა ეწარმოებინა მოლაპარაკება ახალი კავშირის შესახებ... „სეატოს" ნიზანია იმის გარანტირება, რომ ჩვენ თავიდანვე აღმოვჩნდებით მონაწილე ყოველი ახალი ომისა, რომელიც აზიაში წამოიწყება, ისევე როგორც ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტი ისახავს იმავე მიზანს ევროპაში... მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მდივანმა ასეთი უგუნურება ჩაიდინა, საგიეეთამდე შორს აღარ არის... სახელმწიფო მდივნის ქცევა გვაფიქრებინებს, რომ მას მტკიცედ აქვს განზრახული მიაღწიოს ომს, სადაც კი შეუძლია".

მართლაც, ძნელია უფრო ზუსტად დახასიათება ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ნამდვილი ზრახვებისა, ვიდრე ეს ამერიკის გაზეთმა გააკეთა.

მანილის კონფერენცია მოამზადეს არა აზიის ქვეყნებმა, იგი მოამზადეს და წოაწყეს დასავლეთის სახელმწიფოებმა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, აზიის ქვეყნების ზურგს უკან. ამ კავშირის მონაწილეთა შემადგენლობა მჭევრმეტყველურად მოწმობს, რომ „სეატოს" საერთო არა აქვს რა აზიის ხალხთა ინტერესებთან და მისწრაფებებთან. რვა ქვეყნიდან, რომლებმაც ხელი მოაწერეს პაქტს, ხუთი — ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრალია და ახალი ზელანდია — აზიის ქვეყნები არ არიან, ამასთან ორი უკანასკნელი ქვეყანა — ავსტრალია და ახალი ზელანდია — პოლიტიკურად და ეკონომიურად დამოკიდებულია კოლონიურ სახელმწიფოებზე. რაც შეეხება ტაილანდს, ფილიპინებსა და პაკისტანს, რომელთა ჩათრევა ბლოკში მოახერხა ვაშინგტონმა, ისინი ბჭიდროდ არიან დაკავშირებული ამერიკის შეერთებულ შტატებთან კაბალური შეთანხმებებით სამხედრო და ეკონომიური „დახმარების" შესახებ.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ყველა ქვეყანამ, რომლისთვისაც ძვირფასია თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, — ინდოეთმა, ინდონეზიამ, ბირმამ, ცეილონმა, სადაც ამ რაიონის მოსახლეობის 4/5-ზე მეტი ცხოვრობს, — არათუ უარი თქვა „სეატოში" მონაწილეობაზე, არამედ ისიც კი არ ისურვა, რომ ნონაწილეობა მიეღო ახალი ბლოკის ამერიკული პროექტის განხილვაში.

ამ ქვეყნების აზრი გამოხატა 9 სექტემბერს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ, რომელმაც აღნიშნა ისეთი მდგომარეობის უაზრობა, როცა ზოგიერთი ქვეყანა ერთიანდება სხვა ქვეყნების დასაცავად, რომლებიც საქვეყნოდ აცხადებენ, რომ მათ არა სურთ ეს დაცვა. მიუხედავად ამისა ეუბნებიან, რომ მათ მაინც დაიცავენ.

სიტყვა „დაცვა" ამერიკელ იმპერიალისტთა ენაზე ნიშნავს აგრესიას თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ. შემთხვევითი როდი იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი, ლაპარაკობდა რა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რაიონის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ, ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მარტში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ეს რაიონი მდიდარია მრავალი სახის ნედლეულით, როგორიც არის, მაგალითად, კალა, ნავთობი, კაუჩუკი და რკინის მადანი..." სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, ამერიკელ იმპერიალისტთა ვარაუდით, უნდა იყვნენ ნედლეულის მიმწოდებელნი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ატლანტიკის ბლოკში მათი პარტნიორების სამხედრო მრეწველობისათვის.

მკვეთრად აკრიტიკებს რა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას აზიაში, ინდონეზიის გაზეთი „ბერიტა ინდონეზია" აცხადებს: „აზიის ქვეყნებს მეურვეები არ ესაჭიროებათ. მათ თვითონ შეუძლიათ განსაზღვრონ თავიანთი ბედი". „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის უმთავრესმა ქვეყნებმა — ინდოეთმა, ინდონეზიამ, ბირმამ, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, — უარყვეს „სეატოს" პაქტი. ამრიგად, ეს პაქტი დაბადებითვე მახინჯია და იგი სასიკეთოდ არის განწირული, რადგან არ შეუძლია სუნთქვა აზიის ატმოსფეროში, აზიისა, რომლის ხალხებსაც მშვიდობა სურთ".

ამ პაქტის ტექსტში არის ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური განცხადება, რომ „სეატოს" დანიშნულებად მათ მიაჩნიათ ბრძოლა „კომუნისტური აგრესიის" წინააღმდეგ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბლოკის ამერიკელ ინიციატორებს განზრახული აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულება სწორედ იმ ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც მშვიდობის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან და რომლებსაც ისინი „კომუნისტურ" ძალებს უწოდებენ.

„კომუნისტურ საფრთხეზე" მითითება ამერიკელ რეაქციონერებს იმისათვის დასჭირდათ, რომ მიეღოთ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის „უფლება". ხელშეკრულების მე-4 მუხლი მათ ამის ფართო შესაძლებლობას აძლევს. ეს მუხლი შეიცავს მაღალფარდოვან და განზრახ ბუნდოვან ფორმულირებებს, რომლებიც ვაშინგტონს საშუალებას აძლევენ განმარტოს ისინი როგორც მოეპრიანება და ყოველი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გამოაცხადოს... „კომუნისტურ აგრესიად".

თავიანთი პარტნიორებისათვის ვეთომდა „დათმობის" სახით ამერიკელი დიპლომატები დათანხმდნენ ხელშეკრულების პროექტში მოხსენებული არ ყოფილიყო ინდოჩინეთის ქვეყნები. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნით ხელშეკრულებას დართული აქვს ცალკე ოქმი, რომელშიც ნათქვამია, რომ ხელშეკრულების მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ სამხედრო და ეკონომიურ ღონისძიებებს, შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე ლაოსის, კამბოჯისა და სამხრეთ ვიეტნამის მიმართ. ამრიგად, ბლოკის ორგანიზატორებს განზრახული აქვთ აგრესიული პაქტის მოქმედება გაავრცელონ სამხრეთ ვ

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ეროვნული დეკლარაციას მთელი აზია მიესალმება

ინდოეთის პრესის გამოხმაურება საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკებებზე

დელი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). პეკინში საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკების კომუნიკემ ინდოეთის პრესის მრავალი გამოხმაურება გამოიწვია. დელისა და პროვინციის დიდი გაზეთების უმრავლესობამ მოწონებე სტატიები და კომენტარები მიუძღვნა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკებას.

გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ მოლაპარაკების მეგობრულ ხასიათს და მიაჩნიათ, რომ მოლაპარაკების შედეგად შემდგომ განმტკიცდება საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობა. მაგალითად, გაზეთი „ნეიშნლ ჰერალდი“ 13 ოქტომბერს მოწონავე სტატიაში წერდა: „საბჭოთა კავშირ-ჩინეთის დეკლარაციამ არ შეიძლება შთაბეჭდილება არ მოახდინოს აზიის ხალხებზე, რადგან პოლიტიკა, რომელსაც იგი გამოხატავს, პირდაპირ ეწინააღმდეგება ამერიკის ჩარევას სხვა ხალხების საქმეებში.

დეკლარაცია მიმართულია უწინარეს ყოვლისა აზიის ხალხებისადმი და მათ შორის იაპონელი ხალხისადმი, რომელსაც ტანჯავს ამერიკის ოკუპაცია და რომელიც ესწრაფვის თავისუფლებასა და თავის მეზობლებთან თანამშრომლობას“.

„ჩინეთმა და საბჭოთა კავშირმა, — წერს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომუნიკეს გამო გაზეთი „ტრიბუნი“, — განაცხადეს, რომ ისინი თავიანთ ურთიერთობას აზიის ქვეყნებთან აკავშირებ ააგებენ ტერიტორიული ხელშეუხებლობის, ურთიერთპატივისცემის, სუბნაო საქმეებში ჩაურევლობის, ურთიერთობაში თანასწორობის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების მტკიცედ დაცვის საფუძველზე. ამ დეკლარაციას მთელ აზიაში მხურვალედ მიესალმებიან“.

გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე იმ წინადადებებს, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომუნიკე და რომელთა მიზანია აზიაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

როგორც გაზეთი „ინდიან ექსპრესი“ აღნიშნავს, ის, რომ საჭიროა „უცხოეთის ჯარების გაყვანა იაპონიიდან და ხელსაყრელი პირობების შექმნა იმისათვის, რომ განახლდეს მისი საგაჭრო ურთიერთობა აზიის ყველა ქვეყანასთან, ისევე საფუძვლიანია, როგორც მოწოდება — მოწვეულ იქნას საერთაშორისო კონფერენცია კორეის საკითხზე. სადავო არ არის თეზისი იმის შესახებ, რომ ეს ორი ღონისძიება გაანმტკიცებს მშვიდობას ამ რაიონში“. ეხება რა ტაივანის საკითხს, გაზეთი შემდეგ წერს: „ფაქტი ის არის, რომ ფორმოზა ჩინეთს ეკუთვნის“.

გაზეთი „ტრიბუნი“ თავის მხრივ აღნიშნავს, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის კორეის პრობლემა, ბოლოს და ბოლოს, უნდა მოწესრიგდეს, და ამ საკითხს უკავშირებს იმას, რომ აღდგენილ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და დაუბრუნდეს ტაივანი კანონიერ პატრონს — ჩინელ ხალხს.

„თუ შესაძლებელია ჟენევის თათბირის ატომოსფეროს აღდგენა, — წერს „ტრიბუნი“, — არავითარი საფუძველი არ არის ვიფიქროთ, რომ შეუძლებელია შეთანხმების მიღწევა კორეის საკითხზე“.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენები რუმინეთში

ბუქარესტი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). რუმინეთის მთელ რიგ ქალაქებში გაიხსნა საოლქო და რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენები, რომლებიც ასახავენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა მუშაობის შედეგებს მიმდინარე წელს. მოწონავე აგროტექნიკის გამოყენების მეთხებით ბევრმა სახელმწიფო მეურნეობამ და კოლექტიურმა სოფლის მეურნეობამ უხვ მოსავალს მიაღწია. ქალაქ პიტეშტის საოლქო გამოფენაზე წარმოდგენილია სოფელ შტეფანეშტის კოლექტიური სოფლის მეურნეობა, რომელმაც, მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, ჰექტარზე აიღო 14,5 ცენტნერი ხორბალი, ესე იგი 5-6 ცენტნერით მეტი, ვიდრე ერთპიროვნულმა გლეხებმა.

იმ ექსპონატთა შორის, რომლებიც სახელმწიფო მეურნეობებმა და კოლექტიურმა სოფლის მეურნეობებმა წარადგინეს კრაიოვის ოლქის ქალაქ კარაკალის გამოფენაზე, — არის სიმინდის, აგრეთვე იმ ქერის უხვმოსავლიანი ჯიშები, რომელიც 41 ცენტნერამდე მოსავალს იძლევა ჰექტარზე, შაქრის ჭარხლის 3-4 კილოგრამი წონის ძირხვენები და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენები მოწმობენ აგრეთვე იმ წარმატებებს, რომლებსაც სახელმწიფო მეურნეობებმა და კოლექტიურმა სოფლის მეურნეობებმა მეცხოველეობის განვითარებაში მიაღწიეს.

გამოფენებზე წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომელსაც იყენებენ ახლა რუმინეთის მინდვრებში, მათ შორის „ს-4“ მარკის თვითმავალი კომბაინები, სათესი მანქანები სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვისათვის, კარტოფილსათესი და კარტოფილის მოსავლის ასაღები მანქანები და სხვ.

ფინეთის მთავრობა გადადგა

ჰელსინკი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). რადგან სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და აგრარული კავშირის მთავრობის ჯგუფები არ ეთანხმებიან იმ ეკონომიურ პროგრამას, რომელიც შეიმუშავა პრემიერ-მინისტრმა ტერნგრენმა; გუშინ ტერნგრენი ეწვია რესპუბლიკის პრეზიდენტს პაასიკივის და მთავრობის სახელით გადასცა მას განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ. პრეზიდენტმა გადადგომა მიიღო.

ოფიციალურ ცნობაში მთავრობის გადადგომის შესახებ ნათქვამია, რომ, რამდენადაც სოციალ-დემოკრატიული და აგრარული კავშირის მთავრობის ჯგუფების წინადადება ძლიერ განსხვავდება პრემიერ-მინისტრის წინადადებისაგან, ტერნგრენმა საჭიროდ ცნო წარედგინა რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესია

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის 13 ოქტომბრის სხდომაზე გრძელდებოდა დისკუსია განიარაღების საკითხზე.

კანადის წარმომადგენელმა მარტინმა აზრი გამოთქვა, რომ ახლანდელ პირობებში განიარაღების საკითხზე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა უფრო ფნიშვნელოვანია, ვიდრე აქამდე. შეეხო რა სსრ კავშირის რეზოლუციის პროექტს შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის საკითხზე საერთაშორისო კონვენციის (ხელშეკრულების) დადების შესახებ, კანადის წარმომადგენელმა თქვა, რომ იგი არ ეთანხმება საბჭოთა კავშირის წინადადებათა იმ ნაწილს, რომელშიც ლაპარაკია საკონტროლო ორგანოს შესახებ. იგი ამტკიცებდა, რომ დროებითი საკონტროლო ორგანოს რწმუნებანი — აკნობოს ხოლმე ესა თუ ის დარღვევები უშიშროების საბჭოს — თითქოს „არასაკმარისია“, კანადის დელეგატი უჩოდა იმას, რომ ამ ორგანოს არ ექნება რწმუნებანი მოახდინოს გამოძიება ყველგან და ყოველ დროს. კანადის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი იზიარებს სსრ კავშირის წარმომადგენლის ა. ი. ვიშინსკის თვალსაზრისს ოსის შესახებ, რომ არ არსებობს გადაულახავი უთანხმოება განსახილველ საკითხში შეთანხმების გზაზე.

მარტინი მიემხრო ამ საკითხის ფართო და გაღუსაზღვრელ განხილვას პირველ პოლიტიკურ კომიტეტში. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დისკუსია დამთავრდება, თქვა მან, განიარაღების კომისიამ უნდა მოიწვიოს თავისი კვეკომიტეტი, რათა განაგრძოს მისი ღონისძიებანი იმ წინადადებათა შეთანხმების საქმეში, რომლებიც შეიტანეს საბჭოთა კავშირმა, საფრანგეთმა, ინგლისმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სხვა სახელმწიფოებმა. კანადის წარმომადგენელმა შეიტანა რეზოლუციის პროექტი ზემოაღნიშნულ კვეკომიტეტის მოწვევის შესახებ.

ავსტრალიის წარმომადგენელი სპენდერი, რომელიც შემდეგ გამოვიდა, არ შეხებია განიარაღების პრობლემასთან დაკავშირებული ამა თუ იმ წინადადების არსს.

ავსტრალიის წარმომადგენლის აზრით, პოლიტიკური კომიტეტი მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამდა — გააადვილებდა დიდ სახელმწიფოთა შორის შეთანხმების მიღწევის ამოცანას, კომიტეტის ფარგლებში რომ შექმნილიყო კვეკომიტეტი, რომელიც შეისწავლიდა და მოახსენებდა კომიტეტს, თუ რამდენად ემთხვევა და განსხვავდება მხარეთა პოზიციები განიარაღების პრობლემის სხვადასხვა ასპექტსა და საკითხებზე. თავისი ეს წინადადება ავსტრალიის წარმომადგენელმა გამოთქვა არა როგორც ფორმალური წინადადება, არამედ როგორც „იდეა“, რომლის განხორციელებაც, როგორც მან თქვა, „ხელს შეუწყობდა დიდ საქმეს“.

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი 13 ოქტომბერს განაგრძობდა გომინდანელთა ხროვის აგრესიაზე ბირმის კავშირის საჩივრის განხილვას.

ინდონეზიის დელეგატმა, რომელმაც მხარი დაუჭირა ბირმის საჩივარს, განაცხადა, რომ ბირმის ტერიტორიაზე გომინდანელთა ჯარების ყოფნა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მშვიდობისათვის. ინდონეზიის დელეგაცია, განაგრძო მან, მთლიანად იზიარებს ბირმის მთავრობის შეშფოთებას იმ ვითარების გამო, რაც ჩანკაიშელთა ჯარების აგრესიული მოქმედების შედეგად ბირმაში შეიქმნა. ინდონეზიის დელეგატმა კომიტეტის ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ჩანკაიშელთა სხვადასხვა ორგანიზაციები კვლავ დახმარებას უწევენ გომინდანელთა ბანდებს, რომლებიც ბირმის ტერიტორიაზე მოქმედებენ. მან მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საჭირო დახმარება გაუწიოს ბირმის მთავრობას არსებული საფრთხის ლიკვიდაციის საქმეში.

პოლონეთის წარმომადგენელმა კაც-სუხიმ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილება ბირმის ტერიტორიიდან გომინდანელთა ჯარების გაყვანის შესახებ შესრულებული არ არის. ბირმის ტერიტორიაზე ჩანკაიშელთა ბანდების მოქმედება, თქვა პოლონეთის წარმომადგენელმა, საფრთხეს წარმოადგენს ბირმის ეროვნული სუვერენიტეტისთვის. გომინდანელთა ხროვა, განაცხადა კაც-სუხიმ, კვლავ უჭერს მხარს თავის ბანდებს ბირმაში, იყენებს რა იმ დახმარებას, რომელსაც შეერთებული შტატებისაგან იღებს. პოლონეთის დელეგატმა კომიტეტის ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ გომინდანელები თავიანთი ავანტიურა მოქმედებით ბირმაში და მეკობრული მოქმედებით ჩინეთის ზღვების რაიონში მშვიდობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიან დედამიწის ამ ნაწილში.

სხდომაზე გამოსული ინგლისის, საფრანგეთის, თურქეთის, კანადისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები ცდილობდნენ ნაკლებმნიშვნელოვნად დაესახათ ის საფრთხე, რომელსაც წარმოადგენს გომინდანელთა ბანდის ყოფნა ბირმის ტერიტორიაზე. სხდომის დასასრულს ინგლისის დელეგატმა 11 ქვეყნის სახელით შეიტანა ერთობლივი რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოუწოდებს გომინდანელთა ბანდების „განიარაღებისა და ინტერნირებისაკენ“ და აღთქვამს ბირმის მთავრობას „სიმპათიასა და მხარდაჭერას“ მისი ცდებისადმი — მიაღწიოს ამ პრობლემის გადაწყვეტას — და მოითხოვს, რომ ყველა სახელმწიფომ მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რათა თავიდან აიცილონ დახმარების გაწევა გომინდანელთა ბანდებისათვის ბირმაში.

ჰარი პოლიტის განცხადება

ლონდონი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „დეილი უორკერმა“ გამოაქვეყნა ჰარი პოლიტის განცხადება, რომელიც მან გააკეთა 14 ოქტომბერს დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომის სახელით ლონდონში მომხდარ გაფიცვასთან დაკავშირებით.

„შესანიშნავი ბრძოლა, რომელსაც აწარმოებენ ამჟამად ლონდონის დოკერები, გემსარემონტოთა მუშები და ავტობუსის ტრანსპორტის მუშაკები, — ნათქვამია განცხადებაში, — აღმაფრთოვანებელ მაგალითს წარმოადგენს ყველა მშრომელისათვის. გაფიცულები, რომლებიც დიდ მატერიალურ სიძნელეებს განიცდიან, იბრძვიან არა მარტო საკუთარი ინტერესებისათვის, არამედ მუშათა კლასის ყველა ფენის ინტერესებისთვისაც... გაფიცვის მონაწილენი ღირსნი არიან, რომ მთლიანად მხარი დაუჭიროს მთელმა მუშათა კლასმა და მათ კიდევაც უნდა მიიღონ ეს მხარდაჭერა. მაგრამ ტრედუნიონების ბრიტანეთის კონგრესის გენერალური საბჭო სდუმს“.

„ახლანდელი დიდი გაფიცვა, — განაგრძობს პოლიტი, — წარმოადგენს იმ ადამიანთა აღშფოთების გამოვლინებას, რომლებიც დიდხანს იკავებდნენ თავს და რომელთაც შეგნებული აქვთ, რომ მათი ცხოვრების პირობები აუტანელი გახდა. ამ გაფიცვას შეუძლია უდიდესი გავლენა მოახდინოს მუშათა მოძრაობის მომავალ განვითარებაზე. იგი გზას უჩვენებს რეკინიგზელებს, მანქანათმშენებლებს, გემთმშენებლებსა და მაღაროელებს. გაფიცვა ცხადყოფს, რომ, თუ მათ სურთ ხელფასის გადიდება, უნდა იბრძოლონ ამისათვის. ლონდონის გაფიცვა მტკიცე ბაზას უქმნის მუშათა მოძრაობის გაერთიანებას“...

ლონდონელი დოკერების გაფიცვა

ლონდონი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). ლონდონის ნავსადგურის დოკერების გაფიცვა გრძელდება. 13 ოქტომბერს გაფიცულთ შეუერთდა კიდევ 2,5 ათასი დოკერი. გაფიცვის შედეგად ინგლისის უდიდესი ნავსადგური, რომლის საშუალებითაც ინგლისი უცხოეთთან ვაჭრობის თითქმის ერთი მესამედს ახორციელებს, ფაქტიურად უმოქმედოდ არის.

გუშინ გამართულ მიტინგზე, მიუხედავად პროფკავშირთა მემარჯვენე ლიდერების მოთხოვნისა, გაფიცულებმა უარი თქვეს დაუბრუნდნენ სამუშაოს და განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ ბრძოლა.

ლონდონელ დოკერთა ბრძოლას ფართოდ უჭერენ მხარს ინგლისის სხვა უდიდეს ნავსადგურთა დოკერები. სანდერლენდისა და მიდლსბოროს ნავსადგურების მუშებმა უარი განაცხადეს გადმოტვირთონ ამ ნავსადგურებში ლონდონიდან მოსული გემები. გლაზგოს ათასმა დოკერმა და საუდჰემპტონის 2.000 დოკერმა ერთი დღის გაფიცვა გამოაცხადა თავიანთ ლონდონელ ამხანაგებთან სოლიდარობის ნიშნად.

ევროპის ხალხთა ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებანი

სტოკჰოლმი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „მორგონ-ტიდნინგენმა“ გამოაქვეყნა თავისი საგარეო პოლიტიკური მიმომხილველის ნილს ლინდის სტატია დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების საკითხზე ლონდონის თათბირის გადაწყვეტილებათა შესახებ. ავტორი გმობს ამ გადაწყვეტილებებს, როგორც ისეთებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან დასავლეთ ევროპის ხალხთა უმრავლესობის ინტერესებს.

ყველასათვის ცნობილია, ნათქვამია სტატიაში, რომ ფრანგი ხალხის დიდი უმრავლესობა ეწინააღმდეგება დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღებას. აგრეთვე ცნობილია, რომ თვით დასავლეთ გერმანიაში მოსახლეობის ნახევარი მაინც, თუ მეტი არა, იბრძვის სუვერენიტეტისა და შეიარაღების საკითხის იმ ფორმით გადაწყვეტის წინააღმდეგ, რომელსაც ახლა მოითხოვენ. ინგლისში, უნდა ითქვას, მოსახლეობის ნახევარზე მეტი იბრძვის გერმანიის ხელახლა შეიარაღების წინააღმდეგ. რაც შეეხება უმნიშვნელო უმრავლესობას ლეიბორისტული პარტიის კონფერენციაზე, რომელმაც მხარი დაუჭირა ხელმძღვანელობის რეზოლუციას დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების საკითხში, იგი მნიშვნელოვანწილად შედგებოდა პროფკავშირთა ლიდერების კოლექტიური ხმებისაგან.

„უკვე ეს ფაქტები, — აღნიშნავს ავტორი,— გვაიძულებს ვიფიქროთ იმაზე, რომ გამოვნახოთ ხალხთა გაერთიანების გზები“.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა

დელი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დელიდან გაფრინდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, რომელიც ვიზიტით მიემგზავრება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. პრემიერ-მინისტრ ნერუს ახლავან მისი ქალიშვილი ქ-ნი ინდირა განდი და ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი.

აეროდრომზე ნერუ გააცილეს ინდოეთის პრეზიდენტმა რაჯენდრა პრასადმა, მინისტრებმა, დიპლომატიური კორპუსის წევრებმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციის წევრებმა და სხვებმა.

პეკინს მიმავალი ნერუ შეჩერდება რანგუნში, ვიენ-ტიანსა და ხანოიში.

დემოკრატიული ძალების დევნა დასავლეთ გერმანიაში

პარიზი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, გუშინ მიუნხენში დაიპატიმრეს გერმანიის კომუნისტური პარტიის სამდივნოს წევრი ჰუგო ერლიხი.

სპორტის ამბები

მოსკოვისა და ლონდონის მძლეოსანთა გუნდების შეჯიბრება

ლონდონი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). 400 მეტრზე რბენაში საბჭოთა სპორტსმენმა იგნატიევმა 47,9 წამში გაიირბინა დისტანცია და პირველი ადგილი დაიკავა. ინგლისელებმა ფრაიერმა და ბეიკერმა დაიკავეს მეორე და მესამე ადგილები შესაბამისი შედეგებით — 48,2 წამი და 48,3 წამი. მეოთხე ადგილი დაიკავა გორიჩევმა (მოსკოვი). მისი შედეგია 49,8 წამი.

800 მეტრზე რბენაში პირველ ადგილზე გამოვიდა ინგლისელი ჰიუსონი, რომლის შედეგია 1 წუთი და 50,8 წამი. მეორე ადგილზე გამოვიდა ეილტი (ლონდონი) — 1 წუთი და 51,2 წამი, მესამე ადგილზე — აგეევი (მოსკოვი) — 1 წუთი და 52,7 წამი, მეოთხე ადგილზეა ივაკინი (მოსკოვი) — 1 წუთი და 54,1 წამი.

ესტაფეტში 4×100 მეტრზე პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვის გუნდმა, რომლის შედეგია 41,2 წამი. ლონდონის გუნდის შედეგი 42 წამი.

3.000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში პირველი ადგილი დაიკავა ინგლისელმა დისლიმ; მისი შედეგია 9 წუთი და 0,8 წამი. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს ინგლისელებმა მერუნმა და შირლიმ შესაბამისი შედეგებით — 9 წუთი და 8,8 წამი და 9 წუთი და 15,2 წამი.

ჭოკით ხტომაში საუკეთესო შედეგები გვიჩვენა ინგლისელმა ელიოტმა, რომელმაც დასძლია 4,26 მეტრი სიმაღლე, მეორე ადგილი დაიკავა საბჭოთა სპორტსმენმა დენისენკომ, რომლის შედეგია 4,19 მეტრი, მესამე ადგილზე გამოვიდა ბულატოვი (მოსკოვი) და მეოთხეზე — შმიდტი (ლონდონი).

ბირთვის კვრაში საუკეთესო შედეგს მიაღწია საბჭოთა სპორტსმენმა გრიგალკამ, რომელმაც კრა ბირთვი 16,81 მეტრზე. მეორე ადგილი დაიკავა საბჭოთა სპორტსმენმა ხეინასტემ; მისი შედეგია 16,44 მეტრი, მესამე ადგილი დაიკავა სვეიჯმა (ლონდონი) და მეოთხე — ფარომ (ლონდონი).

ესტაფეტი გაიმართა ავრეთვე 4×400 მეტრზე, რაც შეჯიბრების პროგრამაში არ შედიოდა. პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვის გუნდმა, მისი შედეგია 3 წუთი და 11,8 წამი. ლონდონის გუნდის შედეგია 3 წუთი და 13,4 წამი.

ესტაფეტში 4×100 მეტრზე ქალთათვის გამართულ შეჯიბრებაში ავრეთვე საბჭოთა სპორტსმენებმა. მოსკოვის გუნდის შედეგია 46,4 წამი; ლონდონის გუნდის შედეგია 47 წამი.

საბჭოთა კალათბურთელები დამასკოს გაფრინდნენ

კაირო, 14 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს კაიროდან დამასკოს გაფრინდა თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი, რომელიც რამდენიმე თამაში მოიწყო ეგვიპტელ სპორტსმენებთან.

საბჭოთა სპორტსმენების ყოფნამ ეგვიპტეში სპორტსმენთა წრეებისა და ფართო საზოგადოებრიობის უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

კაიროს სასპორტო საზოგადოებრიობის წრეებში აზრს გამოთქვამენ, რომ საბჭოთა კალათბურთელების შეხვედრებმა ეგვიპტეში ხელი შეუწყო ამ ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, აგრეთვე დიდი სარგებლობა მოუტანა ეგვიპტელ სპორტსმენებს.

დამასკოში საბჭოთა კალათბურთელები რამდენიმე შეხვედრას მოიწყობენ სირიის კალათბურთელებთან.

ფეხბურთელთა საერთაშორისო შეხვედრები ბელგიაში

ბრიუსელი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). 13 ოქტომბერს ბრიუსელში უნგრეთის ფეხბურთელთა გუნდი „გონვედი“ შეხვდა ინგლისის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს „უესტ ბრომვიჩ ალბიონს“. მწვავე ბრძოლაში უნგრელმა ფეხბურთელებმა მოუგეს ინგლისელ სპორტსმენებს ანგარიშით 5:3.

იმავე დღეს ბრიუსელის ფეხბურთელთა გუნდი „ანდერლეხტი“ შეხვდა „აუსტრიას“ გუნდს (ვენა). ავსტრიელმა ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 2:0.

სურათზე (მარჯვნიდან მარცხნივ): უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ზ. მლადენოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი გ. ნაჯაკოვი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი სწავლული მდივანი აკადემიკოსი ა. ხაჯიოლოვი, აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი და მეცნიერი თანამშრომელი ა. ლიუტოვ.

ფოტო შ. გოქაძისა.

ბულგარელი მეცნიერები თბილისში

თბილისში სტუმრად არის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით. დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობს ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი გ. ს. ნაჯაკოვი, არიან ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი, მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ა. ი. ხაჯიოლოვი, გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ს. დ. გეორგიევი, ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი დ. ვ. ფილევი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ზ. მ. მლადენოვი და უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ა. ნ. ლიუტოვი.

14 ოქტომბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომის დარბაზში გაიმართა აკადემიის ნამდვილი წევრების, წევრ-კორესპონდენტების, პროფესორებისა და მეცნიერთა მუშაკების საერთო კრება ბულგარელ მეცნიერთა მონაწილეობით.

მოხსენება „საქართველოსა და ბულგარეთის კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან“ გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ა. გ. შანიძემ. მან ილაპარაკა საბჭოთა და ბულგარელ მეცნიერთა შემოქმედებითს კავშირზე, რომელიც თანდათან ძლიერდება, აღნიშნა, რომ საქართველოს მშრომელები დიდ ინტერესს იჩენენ ბულგარელი ხალხის კულტურისადმი.

კრებაზე გამოვიდა ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი გ. ს. ნაჯაკოვი, რომელაც გულთბილად შეხვდნენ. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა წარმატებებს მიაღწია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, თუ როგორ სწრაფად ვითარდება მეცნიერება ბულგარეთში და რა უდიდეს უანგარო დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი ბულგარელ ხალხს.

შემდეგ აკადემიკოსმა გ. ს. ნაჯაკოვმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილს გადასცა სიგელი მისი ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩევის შესახებ.

კრებამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. მან ცხადყო საბჭოთა და ბულგარელი ხალხების მეგობრული ურთიერთობა, რაც თანდათან მტკიცდება.

ბულგარელი სტუმრები იყვნენ აგრეთვე სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაათვალიერეს აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, რუსთაველის თეატრში დაესწრნენ წარმოდგენა „ლალატს“, ინახულეს თბილისის ისტორიული ადგილები და სხვა ღირსშესანიშნაობანი.

ლ. ორლოვას გასტროლები თბილისში

თბილისში საგასტროლოდ იმყოფება ცნობილი კინომსახიობი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, საერთაშორისო კინოფესტივალების ლაურეატი ლიუბოვ ორლოვა.

ლ. ორლოვა ჩვენს მაყურებელს ახსოვს საუკეთესო საბჭოთა კინოსურათებიდან „ცირკი“, „მხიარული ახალგაზრდობა“, „ვოლგა-ვოლგა“, „ნათელი გზა“, „გზაფხული“, „გლინკა“ და სხვ., სადაც ნიჭიერმა მსახიობმა მეტად საინტერესო და დასამახსოვრებელი სახეები შექმნა.

ამჟამად თბილისში კონცერტებზე ლ. ორლოვა წარმატებით ასრულებს სიმღერებს კინოსურათებიდან და საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებს.

ამ დღეებში საქართველოს ფილარმონიის სახაფხულო თეატრში გაიმართა კინოსურათებში მონაწილე ქართველ მსახიობთა შემოქმედებითი შეხვედრა ლ. ორლოვასთან. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ვ. ანჯაფარიძემ, ვ. გოძიაშვილმა, პ. კობახიძემ, ა. ყორყოლიანმა, ს. თაყაიშვილმა, მ. ჯაფარიძემ, ე. მალალაშვილმა.

13 და 14 ოქტომბერს ლ. ორლოვას მონაწილეობით კონცერტები გაიმართა მაუდ-კამეოლის კომბინატში და რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში.

კვირას, 17 ოქტომბერს, დღის 12 საათზე ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნება

სამშენებლო გამოფენა

გამოფენაზე ექსპონირებულია ახალი საშენი მასალები, კონსტრუქციები და მექანიზმები.

შესვლა თავისუფალია.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაციკიძე.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო

„სოიუზპეჩატი“

მიიღება ხელმოწერა 1955 წლისათვის

ცენტრალურ და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებზე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან და ორგანიზაციებისაგან სასამსახურო საჭიროებისათვის

და ინდივიდუალური ხელმომწერლებისაგან.

ხელმოწერა მიიღება ქალაქად და რაიონულ ცენტრებში „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში.

„სოიუზპეჩატი“.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს და ყოველდღე
რუსეთ დამსახურებული არტისტის
იური დურეროვის
გასტროლები
(ცხოველთა შერეული ჯგუფი)
დიდი საცირკო პროგრამა
მონაწილეობენ
საბჭოთა ცირკის წამყვანი ოსტატები

კვირას, 17 ოქტომბერს
დღის ორი საბავშვო წარმოდგენა
საღამოს წარმოდგენების დასაწყისი
8 ს. 30 წ.
დღის წარმოდგენების დასაწყისი
12 ს. და 3 ს.
ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები
კოლექტიურ დასწრებაზე.

მეუღლე გიორგი, შვილი მედეა, ძმა ილია, რძალი ქეთო, ძმისწულები თინა, ნუგზარ ედილაშვილები იუწყებიან **მარგო გიორგის ასულ ედილაშვილი-დავიდოვას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-X, 8 ს. გამოსვენება 17-X, 4 ს. ჩოდრიშვილის ქ. № 33.

შვილები სოფიო, ანა, ვასილ აფაქიძეები, და დუსია ნანობაშვილი, სიძე ი. გაფამაჯიანი, შვილიშვილები ნადია, ლალი, ნანული იუწყებიან **ეკატერინე აბრამის ასულ მირიანაშვილი-აფაქიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-X, 8 ს. გამოსვენება 17-X, 4 ს. პლეხანოვის პრსპ. № 177.

შვილი თამარ, სიძე სოსო ბარნაბიშვილი შვილით ირაკლით, ძმა ბაგრატ, რძლები ნატალია, თამარ, სიდონია, თამარ, ძმისწულები ოთარ, ავთანდილ, ბეჟან, დარეჯან ჩხეიძეები იუწყებიან **გიორგი როსტომის-ძე ჩხეიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-X ს. ყელქცეულში (გორის რ.).

მეუღლე დარიკო, შვილები ნატაშა, ელენე, ვანო, შალვა, რძლები ქეთევან, როზა, შვილიშვილები დოდო, ლიანა, მანანა, ლელა, ზურაბ იუწყებიან **მიხეილ ივანეს-ძე ფერაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-X დაბა შორაპანში. გამოსვენება ბინიდან, წყალსადენის ქ. № 28.

დედა სევასტი, მეუღლე გრიგოლ, შ